№32(33) 16.08.1991

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი — ფასი 40 კაპიკი — საქართველოს მენეჯერთა კავშირი

## ნომერშია:

**რა მანძილია ევროპამდე?**
დაიწყო მესამე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
მე-2 გვერდი

**ფორმულა 1**
FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP
სენას ბენზინი უშოვია!
მე-6 გვერდი

**ახალი რეინჯერი გლაზგოში**
მიხაილიჩენკოს ახალი მისამართი
მე-7 გვერდი



## უმასპინძლო სტუმრები

საქართველოს თასის გათამაშების 1/32 ფინალის პირველი მატჩების შედეგები:

მერანი (თბილისი) — გარეჯი (საგარეჯო) 2:2

ჩელა (დარჩელი) — შევარდენი (ზუგდიდი) 3:2

სალხინო (მარტვილი) — იმედი (ლაითური) 2:1

ანცი (თბილისი) — არმაზი-90 (თბილისი) 2:2

ეგრისი (სენაკი) — სიონი (ბოლნისი) 2:2

ქართლი (გორის რაიონი) — არაგვი (დუშეთი) 3:0

სამეგრელო (ჩხოროწყუ) — არმაზი (მცხეთა) 3:3

გურია-2 (ლანჩხუთი) — მაღაროელი (ჭიათურა) 1:1

ივერია (ხაშური) — ბახმარო (ჩოხატაური) 3:0

ჰაბუკიანი (ჰაბუკიანი) — საპოვნელა (თერჯოლა) 3:2

სქური (წალენჯიხა) — ერწუხი (წნორი) 0:1

იბერია (ქარელი) — დურუჯი (ყვარელი) — შეხვედრა არ შედგა.

წინასწარი ცნობით ქარელში ჩასული ყვარლელი ფეხბურთელები მასპინძლებმა სასტუმროს გარეშე დატოვეს. მომხდარის შესახებ იმსჯელებს ფედერაციის სტკ.

## „ლენინი", „კომუნიზმი", „კორჟენევსკაია"...

პამირის მთიანეთის სამი შვიდიათასიანი და ერთი ექვსიათასიანი მწვერვალი დალაშქრეს მრავალდარგობრივ ასოციაცია „ორიენტი-90"-თან არსებული ალპიური კლუბის „იეტის" წევრებმა. ისინი ორჯერ ავიდნენ კომუნიზმის პიკზე (ზღვის დონიდან 7495მ), თითოჯერ ლენინის პიკზე (7134მ) და კორჟენევსკაიას პიკზე (7105მ). მათ აგრეთვე დალაშქრეს ოთხთა პიკი (6500მ-მდე). თერთმეტკაციანი ჯგუფის წევრები არიან: გია თორთლაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი და კლუბის პრეზიდენტი), დავით ჩანტლაძე, გელა ოთარაშვილი, იდრის ხერგიანი, ალი გიგანი, ვახტანგ სვანიძე, ზურაბ კუჭავა, ჯარჯი აჭიმიძე, ირაკლი კაპანაძე, თამაზ შარაშენიძე და ამირან დოლიძე. მათგან სამმა — გია თორთლაძემ, გელა ოთარაშვილმა და ჯარჯი აჭიმიძემ შეასრულეს „თოვლის ჯიქის" ნორმატივი. ეს საპატიო ალპინისტური წოდებაა, რომელსაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთამსვლელებს ანიჭებენ საბჭოეთის ოთხი უმაღლესი მწვერვალის დალაშქვრისთვის.

POTI ფოთი 91

დღესასწაული! უკეთეს სიტყვას მართლაც ვერ მოძებნი. ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ულამაზესი სანახაობა შესთავაზეს საზეიმო გახსნის ცერემონიალზე მოსულ ათეულ ათასობით მაყურებელს. ჩემპიონატის მონაწილეებს, სტუმრებს, მსაჯებს, გულშემატკივრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. სპორტსმენებს მაღალი შედეგები უსურვა წყალსათხილამურო სპორტის ევროპის ფედერაციის პრეზიდენტმა ობრი შინამ... შემდეგ ზედ „ოქროს ტბაზე" მოწყობილ სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მომღერლები და მოცეკვავეები, ქართული ხელოვნებისა და კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები... გვიან ღამე დამთავრდა ზეიმი. ეს მართლაც დაუვიწყარი სანახაობა იყო (იხილეთ მე-4-5 გვერდები).

# „ჩათვალეთ, რომ ეს შეკითხვა არ გამიგია..."

## ახალი არგონავტები „ოქროს ტბაზე"

## „სარბიელს" დიდ სარბიელს ვუსურვებ

ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესის ქვეკომისიის თავმჯდომარე ლოვარდ ტუხაშვილი, რომელსაც ერთი კონკრეტული საკითხის გასარკვევად ვესტუმრეთ: რამდენ ხანს მოუწევთ მუშაობა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებს ქაღალდის დეფიციტის პირობებში, როგორია სამომავლო პერსპექტივა.

უზენაესი საბჭოს ბოლო სესიაზე ჩვენ მივიღეთ ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული კანონი პრესის შესახებ, — გვითხრა ბატონმა ლოვარდმა, — ამ კანონის თანახმად პრესა თავისუფალია, მოხსნილია ცენზურა, დაუშვებელია მონოპოლიზაცია. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ პრესის კანონის მიღებისთანავე ჩვენში მკვეთრად იზღუდება ჟურნალ-გაზეთების პერიოდულობა, ფორმატი და ტირაჟი. შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ კანონი პრესის შესახებ ფიქციაა. მით უმეტეს, ანალოგიური კანონები, „საბჭოურ პერიოდშიც" მოქმედებდა. გავიხსენებ თუნდაც ჰელსინკის ცნობილ ხელშეკრულებას. ლეონიდ ბრეჟნევმა მას საზეიმოდ მოაწერა ხელი, მერე კი ჰელსინკიდან დაბრუნებისთანავე პოლიტბიუროს დახურული სხდომა მოიწვია, სადაც განიხილეს... როგორ არ უნდა შეესრულებინათ ჰელსინკის ხელშეკრულება.

საბედნიეროდ, დღევანდელ ვითარებას არაფერი საერთო არა აქვს ეგრეთწოდებულ საბჭოურ „ჰუმანურ" კანონებთან. დღეს ასეთი სიტუაციაა: პრესა, ვიმეორებ, თავისუფალია. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს გამოსცეს ჟურნალ-გაზეთი, დააარსოს ტელე-რადიო არხი. ეს არის მისი წმიდათაწმიდა, ხელშეუხებელი უფლება. ოღონდ ერთია უფლება, სხვაა — შესაძლებლობა. ქაღალდის მწვავე დეფიციტის გამო ჯერჯერობით შეუძლებელია ქართული პერიოდიკის მოთხოვნის დაკმაყოფილება. სოლიკამსკის ქაღალდის ქარხანამ, რომელიც ჩვენი ძირითადი მომწოდებელია, 3700 ტონა ქაღალდი დაგვაკლო. ირღვევა რუსეთის სხვა ქარხნებთან, ბელორუსიასთან დადებული ხელშეკრულებები, ახალი გზების გამოსაძებნად კი გარკვეული დრო დაგვჭირდება. ამიტომაც, ჟურნალ-გაზეთების ხელმძღვანელებს კომპრომისულ ვარიანტს ვთავაზობთ: ქაღალდის დეფიციტის დაძლევამდე შეამცირონ პერიოდულობა, ფორმატი და ტირაჟი. თუ ასე არ მოხდა და მხარი არ დაგვიჭირეს, სექტემბრისთვის ქაღალდის რესურსები მთლიანად ამოიწურება. გირჩევთ, განუმარტოთ მკითხველს, რომ ეს არის იძულებითი და დროებითი ღონისძიება.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მდგომარეობა რამდენიმე თვეში გამოსწორდება. ყოველ შემთხვევაში 1992 წლისთვის უთუოდ მოვახერხებთ სტაბილურობას ქაღალდის მოწოდებაში, რაც რედაქციებისთვის შეუფერხებელი მუშაობის გარანტია იქნება. ამავე დროს პირადად მე მხარს ვუჭერ თავისუფალ ინიციატივას რესპუბლიკაში ქაღალდის შემოტანის მიზნით: ოღონდ ერთი პირობით: ქაღალდის სანაცვლოდ რესპუბლიკიდან არ უნდა გაიდეს დეფიციტური პროდუქტები.

**რედაქციისგან:** ბატონ ლოვარდს კეთილი სურვილისთვის დიდი მადლობა, მაგრამ, როგორც ჩანს, „სარბიელისთვის", ისევე როგორც სხვა გაზეთებისთვის, დიდი სარბიელი ასეთ პირობებში ოცნებად რჩება. იმედია, მდგომარეობა მალე გაუმჯობესდება. მანამდე კი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გაზეთი სრულ თვითდაფინანსებაზეა და ამდენად მსგავსი არასტაბილურობა მისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია, რედაქცია ითვალისწინებს შექმნილ ვითარებას და წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „სარბიელს" დროებით ოთხ გვერდზე გამოუშვებს, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით და ვთხოვთ გაგებითა და თანაგრძნობით მოეკიდონ ჩვენს გადაწყვეტილებას.

# მესამე ეროვნული ჩემპიონატი

ახალი ჩემპიონატი ახლებური, ევროპის უმეტეს ქვეყანაში მიღებული შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით ტარდება. ეს საგულისხმო სიახლეა, მაგრამ ევროპასთან „მიახლოებისთვის" გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ „იბერიას" უფლება მიეცა უცხოელ პარტნიორებთან სატრანსფერო ოპერაციები უშუალოდ, მოსკოვის ჩაურევლად აწარმოოს. თუმცა, მთავარი მაინც ის არის, რომ ახალმა ჩემპიონატმა ჩვენი ფეხბურთი თვისობრივი და ხარისხობრივი ნიშნებით მიაახლოვოს საერთაშორისო სტანდარტებთან, წინ გადადგმული ნაბიჯი გამხდარიყოს.



## როგორ მოემზადნენ

ჩემპიონატის წინა დღეებში შევხვდით საქართველოს ჩემპიონის მთავარ მწვრთნელს და ეროვნული თასის მფლობელის ტექნიკურ დირექტორს (ადრე ამ თანამდებობას გუნდის უფროსი ერქვა).

თბილისის „იბერია". მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი:

— არ მინდა წინასწარ განვაცხადო, რომ ვარსკვლავებს მოვწყვეტთ, თუმცა ჩვენი მიზანი ვფიქრობ ყველასთვის ცხადია. მოსამზადებელ პერიოდში ვიყავით შვეციასა და პოლონეთში. შვეციაში ორი შეხვედრა ჩავატარეთ, პოლონეთში — ხუთი. შევამოწმეთ ყველა ფეხბურთელი და საბოლოოდ გუნდის მზადებით კმაყოფილი დავრჩით. საგულისხმოა, რომ უცხოეთის ბევრმა კლუბმა გამოთქვა „იბერიის" ფეხბურთელთა მიწვევის სურვილი. ახლა, რაც შეეხება ჩვენს გლობალურ ამოცანას. რადაც უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა შევინარჩუნოთ დიდი გუნდის ტრადიციები, სხვა უფლება არც გვაქვს. „დინამოში" ხომ კორიფეები თამაშობდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ ქართული ფეხბურთის სულს. „იბერია" პრივილეგიას არ ითხოვს, მაგრამ ჩვენ რომ ნიჭიერ ახალგაზრდას შევამჩნევთ და ისიც დიდი ფეხბურთის სკოლის გავლას ისურვებს, ხელს ნუ შეგვიშლიან. და კიდევ ერთი, ბუნებრივია, რომ „იბერიას" წინაალმდეგ სათამაშოდ ყველა გუნდი საგანგებოდ ემზადება. ჩვენთან შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მათ გულშემატკივრებშიც, მაგრამ ზღვარგადასული არაფერი ვარგა. გამარჯვებისთვის ყველაფერი არ უნდა იკადრო.

ლანჩხუთის „გურია". ტექნიკური დირექტორი თემურ ჩხაიძე:

ოცდაოთხდღიანი შვებულების შემდეგ შევიკრიბეთ გრიგოლეთში, ჩვენს საწვრთნელ ბაზაზე. იქვე ჩავატარეთ სამი ამხანაგური შეხვედრა. დავამარცხეთ ოზურგეთის „მერცხალი" 3:1, ფოთის „კოლხეთი-13" 2:1 და ჩოხატაურის „ბახმარო" 4:1, გუნდის ძირითადი ბირთვი იგივეა, თუმცა სათამაშო სქემაში ცვლილებები იქნება, რაც გამოწვეულია იმით, რომ ორი ფეხბურთელი, ცომაია და ტყებუჩავა თბილისის „იბერიას" ნემსაძესა და გოგიჩაიშვილში გავუცვალეთ. მესამე ჩემპიონატში ჩვენი მიზანია სამეულში მოხვედრა. ვიბრძოლებთ თასისთვისაც, მოკლედ ყოველ კონკრეტულ შეხვედრაში „გურიას" ამოცანა გამარჯვება იქნება.

## მინუს ერთი

ფეხბურთის ფედერაციის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ უმაღლეს ჯგუფში მოასპარეზე გუნდების ხელმძღვანელები, ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ ძირითადი შემადგენლობების ჩემპიონატთან ერთად გაიმართება დუბლშემადგენლობათა შეჯიბრებაც. ამასთან დაკავშირებით, მწვრთნელებმა მოითხოვეს განაცხადში ოცის ნაცვლად ოცდახუთი ფეხბურთელის შეყვანის უფლება. ეს მოთხოვნა დააკმაყოფილეს იმ პირობით, რომ განაცხადში შეყვანილი ფეხბურთელებიდან ხუთი იქნება 1973 წელს და მომდევნო წლებში დაბადებული. გუნდებს აგრეთვე ნება დაერთოთ სათადარიგო შემადგენლობებში გამოიყვანონ იმავე ასაკის კიდევ ხუთი ფეხბურთელი.

მესამე ჩემპიონატის დებულებაში შეტანილია პუნქტი, რომლის მიხედვითაც მე-4 ჯგუფის ორი ქვეჯგუფის ბოლო ხუთ-ხუთი გუნდი 1992-93 წლების ჩემპიონატში იასპარეზებს საზონათაშორისო შეჯიბრებაში, დანარჩენი გუნდები კი შეუერთდებიან მესამე ჯგუფს.

ამგვარად, გაისიდან საქართველოს ჩემპიონატებს კიდევ ერთი ჯგუფი გამოაკლდება.

## რატომ მისცეს „იბერიას" უფლება?

ქართველმა გულშემატკივარმა უკვე იცის იმის შესახებ, რომ ფიფა-მ, საქართველოს პირველ გუნდს, თბილისის „იბერიას" ნება დართო ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის დაუკითხავად მიჰყიდოს ფეხბურთელები უცხოეთის გუნდებს. ამ ცნობასთან დაკავშირებით გაჩნდა მრავალი შეკითხვა. რატომ აქვს ასეთი უფლება მხოლოდ „იბერიას"? რა როლი ითამაშა ამ საკითხში მოსკოვმა? და სხვა. უფრო სრული ინფორმაციის მისაღებად მივმართეთ თბილისის „იბერიის" პრეზიდენტს ბატონ ოთარ წეროძეს.

— წლეულს, მაისში, ერთიდაიგივე შინაარსის წერილი გავუგზავნეთ ფიფა-ს პრეზიდენტს ავლანჟს, უეფა-ს პრეზიდენტს იოჰანსონს და სსრკ ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს (ფიფა-ს ვიცე პრეზიდენტს) კოლოსკოვს. — გვითხრა ბატონმა ოთარმა. — წერილში, რომელიც ჩვენის აზრით საკმაოდ დასაბუთებულად იყო შედგენილი, აღნიშნულ ორგანიზაციებს ვთხოვდით საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობის უფლებას. სხვადასხვა არგუმენტებს შორის იყო ისიც, რომ საქართველო მიწისძვრით დაზარალებული ქვეყანაა და საერთაშორისო, საქველმოქმედო ტურნირების გამართვა სტიქიით დანგრეულ რაიონებს ხელს გაუმართავდა. გაჭირვებაში მყოფის დახმარება კი ნებისმიერი პიროვნებისა თუ ორგანიზაციის ზნეობრივი ვალია. თავდაპირველად ფიფა-ს გენერალური მდივანი ბლატერი გამოგვეხმაურა კერძო წერილით, რომელშიც იგი სიმპათიას გამოხატავდა ქართული ფეხბურთის მიმართ და გვპირდებოდა, რომ ჩვენს თხოვნას ფიფა-ს აღმასკომის უახლოეს კრებაზე განიხილავდნენ. შემდეგ კი მოვიდა ოფიციალური პასუხი, რომელშიც საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩატარების ნებას არ გვრთავდნენ, სამაგიეროდ უფლებას გვაძლევდნენ ცენტრის დაუკითხავად გაგვეყიდა ფეხბურთელები. აქვე გვინდა მადლობა გადავუხადოთ სოხუმის „დინამოს", რომელიც ამ ნებართვამდე გვეხმარებოდა ფიფა-ს ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვაში. აღსანიშნავია, რომ „იბერიის" ფეხბურთელების შეძენით, უცხოური კლუბები ძლიერ არიან დაინტერესებული. თბილისის „იბერია" ქართული ფეხბურთის სარეკლამო გუნდია და ვფიქრობ ამიტომ გაუწიეს სწორედ მას ანგარიში ფიფა-ში.

იგივე საკითხზე ფეხბურთის ფედერაციის პოზიციის გასაგებად კომენტარი ვთხოვეთ მის გენერალურ მდივანს ბატონ დავით ქვინიკაძეს.

— იმ ფაქტს, რომ „იბერიას" ნება დართეს თავისი ფეხბურთელები მოსკოვის ნებართვის გარეშე გაუშვას საზღვარგარეთის კლუბებში სათამაშოდ, ცალსახად დადებითად ვაფასებ. ამით ისიც ჩანს, რომ ფიფა ნელნელა თმობს პოზიციებს ქართული ფეხბურთის მიმართ. როგორც მოგეხსენებათ ჩვენმა ფედერაციამ მრავალგზის მიმართა ფიფა-ს ქართული ფეხბურთის აღიარების მოთხოვნით, ამას კლუბის კერძო ინიციატივაც დაემატა და შედეგიც გამოჩნდა. მეორეს მხრივ ალოგიკურია ქვეყნის საფეხბურთო ლიგის მხოლოდ ერთ გუნდს ჰქონდეს ასეთი უფლება, ამდენად ალბათ ცოტა ხანში საქართველოს ყველა გუნდს დართავენ ფეხბურთელების გაყიდვის ნებას. რაც შეეხება შეშფოთებას, რომ „იბერია" უცხოეთში წამსვლელთა გასაფორმებელ გზ[illegible]დად იქცევა, უსაფუძვლოა, რადგან ყველა გუნდს განსაზღვრული აქვს განაცხადში შესაყვან მოთამაშეთა რაოდენობა და იგი თავის მტერი უნდა იყოს, რომ მოქმედ ფეხბურთელთა ნაცვლად წასასვლელად მოსულები აფორმოს.

## მონაწილე გუნდები

### უმაღლესი ჯგუფი

1. იბერია (თბილისი) — რევაზ ძოძუაშვილი
2. გურია (ლანჩხუთი) — გია იმნაძე
3. ქუთაისი (ქუთაისი) — რევაზ ბურკაძე
4. კოლხეთი-1913 (ფოთი) — სოსო ფილია
5. ბათუმი (ბათუმი) — შოთა ჭეიშვილი
6. ცხუმი (სოხუმი) — ირაკლი ქოიავა
7. ოდიში (ზუგდიდი) — ოთარ გაბელია
8. მარგვეთი (ზესტაფონი) — ჯონი ჯანელიძე
9. გორდა (რუსთავი) — გივი ნოდია
10. ალაზანი (გურჯაანი) — ირაკლი გორგოშიძე
11. სამგურალი (წყალტუბო) — სოსო ფრუიძე
12. დილა (გორი) — იჟანე თაყაძე
13. მერცხალი (ოზურგეთი) — იური ჩხაიძე
14. მზიური (გალი) — ბონდო კაკუბავა
15. კოლხეთი (ხობი) — ელდარ გვასალია
16. შევარდენი-1906 (თბილისი) — ელგუჯა ხუციშვილი
17. სულორი (ვანი) — ბადრი ხარაბაძე
18. სამტრედია (სამტრედია) — მურთაზ ხურციალავა
19. ამირანი (ოჩამჩირე) — გარი სორდია
20. მრეწვები (თბილისი) — ვაჟა ჩხაიძე.

### პირველი ჯგუფი

1. ივერია (ხაშური) — ვლადიმერ ხაჩიძე
2. კახეთი (თელავი) — თემურ ცერცვაძე
3. მეშახტე (ტყიბული) — პიძინა თოდაძე
4. შუქურა (ჭობულეთი) — ავთანდილ გორგილაძე
5. არაგვი (დუშეთი) — თამაზ ნამგალაური
6. საპოვნელა (თერჯოლა) — ზაურ ჩუბინიძე
7. სამეგრელო (ჩხოროწყუ) — გულო ოდიშარია
8. იმერეთი (ხონი) — ბადრი სანოძე
9. ეგრისი (სენაკი) — ჯუმბერ ჯალაღონია
10. სქური (წალენჯიხა) — გიორგი ციკოლია
11. შევარდენი (ზუგდიდი) — ვალერი გულორდავა
12. გურია-2 (ლანჩხუთი) — რამაზ ფირცხალაიშვილი
13. მერანი (თბილისი) — თამაზ ჯაში
14. არმაზი-90 (თბილისი) — ბორის დუდაროვი
15. ჩიხურა (საჩხერე) — ოლეგ ჭილლაძე
16. მაღაროელი (ჭიათურა) — თეიმურაზ გრძელიშვილი
17. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — რევაზ ვანაძე
18. დურუჯი (ყვარელი) — ომარ გუგუშვილი
19. არმაზი (მცხეთა) — მერაბ ხუცურაული
20. ქართლი (გორის რაიონი) — მერაბ ხუციშვილი

### II ჯგუფი

1. სიონი (ბოლნისი)
2. ბახტრიონი (ახმეტა)
3. სტუ (თბილისი)
4. სიხარული (გაგრა)
5. ალგეთი (მარნეული)
6. ჭაბუკიანი (ჭაბუკიანი)
7. გარნისი (თეთრი წყარო)
8. ნაფარეული (ნაფარეული)
9. იბერია (ქარელი)
10. იმედი (თბილისი)
11. ანცი (თბილისი)
12. თორი (ბორჯომი)
13. მეგობრობა-89 (ბათუმი)
14. საირმე (ბაღდათი)
15. ბახმარო (ჩოხატაური)
16. ჩხერიმელა (ხარაგაული)
17. ჩელა (დარჩელი)
18. მამული (დიდიჭყონი)
19. ჭყონდიდი (მარტვილი)
20. ზანა (აბაშა)

### III ჯგუფი

1. გარეჯი (საგარეჯო)
2. კრწანისი (თბილისი)
3. შირაქი (დედოფლის წყარო)
4. ერწუხი (წნორი)
5. ვაზი (ვაზისუბანი)
6. დილომი (თბილისი)
7. ჯეჯილი (თბილისი)
8. ვარძია (ასპინძა)
9. მგლები (თბილისი)
10. მერანი-91 (თბილისი)
11. სურამი (სურამი)
12. ცისკარა (ბათუმი)
13. იმედი (ლაითური)
14. მეშაქრე (აგარა)
15. უქიმერიონი (ქუთაისი)
16. ლაშქინდარი (ტყვარჩელი)
17. ოჯალეში (ბანძა)
18. თუთარჩელა (ხაბუმე)
19. ზღვაია (წალენჯიხა)
20. კოლხეთი-2 (ფოთი)
21. მამისონი (ონი)

### IV ჯგუფი

#### აღმოსავლეთი

1. შუამთა (ვარდისუბანი)
2. სამგორი (გარდაბანი)
3. თრიალეთი (წალკა)
4. ერეთი (ლაგოდეხი)
5. არნი (თიანეთი)
6. მადნეული (კაზრეთი)
7. განთიადი (კასპი)
8. მუხრანი (მუხრანი)
9. ფარავანი (ნინოწმინდა)
10. თსუ (თბილისი)
11. აბული (ახალქალაქი)
12. უინვალი (ჟინვალი)

#### დასავლეთი

1. სამცხე (აწყური)
2. მესხეთი (ახალციხე)
3. ზარზმა (ადიგენი)
4. კოლხი (გულრიფში)
5. ოკრიბა (ტყიბული)
6. ფრესკა (ქუთაისი)
7. კოლხეთი-2 (ხობი)
8. ზუგდიდი-91 (ზუგდიდი)
9. ხვამლი (ცაგერი)
10. მშენებელი (ჭიათურა)
11. სუბტროპიკი (სოხუმი)
12. ენგური (ჯვარი)
13. კოლხა (ქუთაისი)

**შენიშვნა:** უმაღლესი და პირველი ჯგუფის გუნდების გასწვრივ მითითებულია მათი მთავარი მწვრთნელები.

ბოლო ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ოთარ კორღალიძის (14 გოლი) ეს ფოტო 1987 წელს ბუქარესტში, უეფა-ს თასის მეთექვსმეტედფინალში ადგილობრივ „ვიქტორიასთან" საპასუხო მატჩის დროსაა გადაღებული. კიდევ გამოვა კორღალიძე უეფა-ს ტურნირების შეხვედრაში თავისი სპორტული კარიერის დასასრულამდე?



მალხაზ დათიკაშვილის ფოტო

გვერდი მოამზადა ილია ბაბუნაშვილმა



# «...და გუნდი ვარსკვლავი»

## ინტერვიუ საქართველოს ნაკრები გუნდების უფროსთან გიგა ნორაკიძესთან

— ბატონო გიგა, ჯერჯერობით ფიფა არ გვაღიარებს და ამდენად საქართველოს ნაკრები გუნდის მომზადება ერთის შეხედვით პირველი რიგის ამოცანა არ არის. და მაინც, რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს ნაკრებისათვის, სანამ იზოლაციაში ვართ?

— რა დასამალია, რომ საქართველოში ნაკრების მომზადების გამოცდილება არ არსებობს. ჩვენი ფეხბურთის საკავშირო სტრუქტურებიდან გამოყოფამდე ნაკრებს ფაქტობრივად თბილისის „დინამო" წარმოადგენდა, მაგრამ ის მაინც საკლუბო გუნდი იყო, ასე რომ ჩვენ ახლა ვიდგამთ ფეხს. როდესაც ბატონმა ნოდარ ახალკაცმა ფედერაციის ნაკრები გუნდების განყოფილებაში, გუნდების უფროსის თანამდებობაზე მომიწვია (განყოფილებას რამაზ შენგელია ხელმძღვანელობს), ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ყველა ნიუანსის კიდევ ერთხელ საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ, მეორე და მესამე ჩემპიონატებს შორის პერიოდში, დაგროვილი და გაანალიზებული მასალის მიხედვით კონკრეტული ნაბიჯები დაგვესახა. სამწუხაროდ, ამ პერიოდში ფედერაციის თავს დატეხილმა მრავალმა „ქარიშხალმა" სერიოზული საუბრის საშუალება არ მოგვცა. გეგმა კი ასეთია, გვინდა შევქმნათ ოთხი ნაკრები: პირველი, ოლიმპიური, ახალგაზრდული და ჭაბუკთა. ეს გუნდები ფიფა-ში შესვლამდე, კალენდარში საგანგებოდ შერჩეული „ფანჯრების" დროს, ტურნირებში შეხვდებიან ერთმანეთს. ერთ-ერთი ასეთი ტურნირია ავთანდილ ღოღობერიძის სახელობის თასის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად შეძლებისდაგვარად მოვიწვევთ საბჭოთა რესპუბლიკებისა და უცხოეთის გუნდებს. ერევნიდან მოგვივიდა ცნობა, რომ 15-20 სექტემბრს მიწვეულნი ვართ „დამოუკიდებლობის თასზე" სათამაშოდ, სადაც სომხეთის, საქართველოს, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და მოლდოვას პირველი ნაკრებები გამოვლენ. ამ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკება.

პირველ ნაბიჯებს რომ ვდგამთ, ამას ისიც მოწმობს, რომ ეროვნულ ნაკრებს სამ თამაშში (ლიტვასთან, „იბერიასთან" და მოლდოვასთან) სხვადასხვა სპეციალისტებმა უხელმძღვანელეს. ბოლო მატჩში, კიშინიოვში, მე და რამაზ შენგელიას თან გვახლდა ორი პერსპექტიული მწვრთნელი ირაკლი გორგოშიძე და გაიოზ დარსაძე. ჩემის აზრით, ნაკრების მწვრთნელს ორი-სამი ახალგაზრდა ყოველთვის გვერდით უნდა ჰყავდეს.

დიდი პრობლემაა საწვრთნელი ბაზა. ჯერჯერობით მოკლევადიანი შეკრებებისას ალბათ ისევ „იბერია", „გურია" და „ქუთაისი" გაგვიწევენ თანადგომას.

ახლა მინდა შევეხო საკითხს, რომელზეც ვიცი რომ აუცილებლად მკითხავთ, რას ვფიქრობ მე, როგორც ნაკრების ხელმძღვანელი, უმაღლეს ჯგუფში გუნდების რაოდენობაზე? საქართველოსთვის ოპტიმალურია 14-16 გუნდი. ეს ნაკრებისათვის გეგმაზომიერი საწვრთნელი შეკრებების ჩატარების საშუალებას მოგვცემდა, თუმცა დღეს მეც ოცი გუნდის მომხრე ვარ. ფიფასწევრობამდე, ჩვენს კლუბებს აუცილებლად ჭირდებათ სათამაშო პრაქტიკა.

მართალი გითხრათ არ მინდა ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ საქმიდან გამომდინარე არ შემიძლია არ გავამახვილო ყურადღება კიდევ ერთ საკითხზე. თქვენ დაესწარით შეხვედრას კიშინიოვში და თანაც ნახეთ, რომ ჩვენი გუნდი „ოც-ოცდახუთწუთიანია", თამაში კი ოთხმოცდაათ წუთს გრძელდება. ეს იმის ბრალია, რომ გუნდების უმრავლესობაში საწვრთნელი პროცესი არასწორედ მიმდინარეობს...

— ჩემის აზრით, დღეს ქართულ გუნდებს მეტად ღარიბი ტაქტიკური არსენალი აქვთ. შეიძლება კი მათში მოთამაშე ფეხბურთელებისგან გამართული ნაკრების ჩამოყალიბება?

— შეუძლებელია ძლიერი ნაკრების ჩამოყალიბება ძლიერი კლუბების გარეშე. ნაკრების მწვრთნელი, რაგინდ გენიოსი იყოს, საქმეს ვერ უშ᾿ელის, რადგან იგი ფეხბურთელებთან ყოველდღიურად არ მუშაობს. ფიზიკური მომზადება აუღლოთ. ნახეთ, ჩემპიონატის შეხვედრები როგორ დაბალ ტემპში მიმდინარეობს. არადა ფიზიკური მომზადება მთელს მსოფლიოში ყველაზე ნაკლები პრობლემაა. კარგად გეხსომებათ კამერუნმა, სწორი მუშაობის შედეგად, მსოფლიო ჩემპიონატზე თუ როგორი გუნდი ჩაიყვანა. ვერავინ დამარწმუნებს, რომ ქართული ფეხბურთი თავისი პოტენციური შესაძლებლობებით კამერუნისაზე დაბლა დგას. ჩვენთან, მთავრდება შეტევა და „მთავრდება" გუნდი. თანამედროვე ფეხბურთში კი შეტევიდან დაცვაზე და დაცვიდან შეტევაზე სწრაფი და ორგანიზებული გადასვლა, ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ყოველივე ეს სწორი ვარჯიშით მიიღწევა. მე მოვუწოდებ მწვრთნელებს იკითხონ თანამედროვე სპეციალური ლიტერატურა, გაეცნონ თუ რა ხდება უცხოეთში. უკანასკნელ ხანს ფეხბურთში ხომ ნამდვილი რევოლუცია მოხდა.

დღეს საქართველოში ვარსკვლავი არ არის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა შეიქმნას გუნდი-ვარსკვლავი, რომელმაც, ვინ იცის, იქნებ თავის მხრივ ფეხბურთის ახალი დიდოსტატი შვას. ახლებურად რომ ვითამაშოთ, ახლებურად უნდა ვივარჯიშოთ, ხოლო ის მწვრთნელები, რომლებიც ამას ვერ შეძლებენ, საქმეს უნდა ჩამოშორდნენ.

— ქართველები ძალისმიერ ფეხბურთს ვერასდროს ვთამაშობდით. ამ ბოლო ხანს ტექნიკური დონეც დაჭვეითდა. რა პრინციპით აპირებთ ნაკრების თამაშის აწყობას?

— ქართველები წლების მანძილზე ვუნერგავდით საკუთარ თავს მცდარ აზრს, თითქოს ფიზიკური მომზადება და ყოველდღიური „პროზაული" შრომა ჩვენს ბუნებრივ ნიჭზე და ტექნიკაზე დაბლა იდგეს. მე ყოველთვის ამ აზრის მოწინააღმდეგე ვიყავი და სხვა მწვრთნელებთანაც არაერთხელ მქონია კამათი. ლამის იმასაც მეუბნებოდნენ, შენ ქართული ფეხბურთის ფენომენი არ გესმისო. დღეს, იგივე საბჭოთა კავშირის წამყვანი გუნდები ფიზიკურ მომზადებაშიც გვჯობიან და არც ტექნიკაში გვიდებენ ტოლს, და თუ ეს კომპონენტი ასე თუ ისე მაინც ძლიერი გვაქვს, ცუდი ფიზიკური მომზადების გამო უპირატესობა ნულამდე დადის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენ ყოველთვის გვქონდა „ტექნიკა ადგილზე", თანამედროვე ეტაპზე კი სწრაფი, „მოძრაობის ტექნიკა" წამოვიდა წინა პლანზე. თუკი ქართველი ფეხბურთელები დაუზარებლად იშრომებენ ფუნქციონალური მომზადების დონის ასამაღლებლად, ისინი მოედანზე გაცილებით მეტს შეძლებენ. ამდენად ერთი კომპონენტის მივიწყება და აქცენტის მეორეზე გადატანა სწორი არაა. საჭიროა ყველაფრის კომპლექსური განვითარება, რათა სრულყოფილი თანამედროვე ფეხბურთი ვითამაშოთ.

— მოდით გავიხსენოთ შეხვედრა მოლდოვას ნაკრებთან, რა გვასწავლა ამ მატჩმა?

— მოლდოველებთან შეხვედრა, ეროვნული ნაკრების პირველი გასვლითი შეხვედრა იყო და ამდენად ჩვენთვის მთავარი გახლდათ გამარჯვება, რასაც მივაღწიეთ კიდეც. არც ის უნდა დავმალოთ, რომ მოლდოველები, ევროპაზე რომ არაფერი ვთქვათ, საბჭოთა საფეხბურთო ელიტასაც არასდროს ეკუთვნოდნენ. მათთან შეხვედრამ გვიჩვენა რომ ქართული ფეხბურთი კრიზისს განიცდის. ეს კრიზისი ახლა არ დაწყებულა, იგი ოთხმოციანი წლების პირველი ნახევრიდან მოდის. მეორეს მხრივ, ჩვენმა გუნდმა პირველი და ბოლო თხუთმეტი წუთი კარგად ჩაატარა და ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა შეხვედრის ორი ბურთის სხვაობით მოსაგებად, რაც იმაზე მეტყველებს რომ მიუხედავად კრიზისისა გარკვეული დონე შენარჩუნებული გვაქვს. ასე რომ კრიზისის დაძლევა შეიძლება. ეს თამაში ვიდეოკასეტაზე გვაქვს ჩაწერილი და პირველივე შეკრებისას მას განვიხილავთ, როგორც სასწავლო მატჩს.

— კიშინიოვში ოპტიმალური შემადგენლობა იყო?

— არა. როგორც გითხარით ჩვენ გამარჯვება გვინდოდა და ამდენად მხოლოდ რამდენიმე წამყვანი გუნდის იმ მომენტში კარგ ფორმაში მყოფი ფეხბურთელი წავიყვანეთ. სექტემბერში, თუ ერევანში წავალთ, ალბათ იგივე პრინციპით შევარჩევთ კანდიდატებს, რადგან აქცენტს კვლავ შედეგზე გავაკეთებთ. მოგეხსენებათ თუ რამდენი ბოროტი თვალი გვიყურებს და ჩვენს მარცხს ნატრობს, რათა შემდეგ თქვას აი, ბატონო, თვითიზოლაციას რა მოსდევსო. პარალელურად ვეძებთ ნიჭიერ ახალგაზრდებს. ყველა სპეციალისტს, ვის კომპეტენტურობასაც ვენდობი, ვთხოვე, რომ მაქსიმალურად მომაწოდონ ინფორმაცია პერსპექტიულ ახალგაზრდებზე. პირადად მეც, უმეტესწილად, პირველი და მეორე ჯგუფის თამაშებს დავესწრები, რადგან უმაღლეს ჯგუფში ჩემთვის ძირითადად ყველაფერი ცნობილია.

— და ბოლოს ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიურად თუ იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ ისინი ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდნენ?

— თამაშის წინ ხუთდღიანი შეკრება ჩავატარეთ თბილისში და სერიოზულად ვიმუშავეთ. ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, რომ ამა თუ იმ ფეხბურთელს მიცემული დავალება კეთილსინდისიერად არ შეესრულებინოს, მაგრამ ყველაფერი რომ უფრო თვალნათლივ გამოჩნდეს, თავად თამაშის მსვლელობას შევეხსენებთ. როდესაც მოლდოველებმა ანგარიში გაგვითანაბრეს და 2:0-ის შემდეგ 2:2 გახადეს, ბიჭებმა შეძლეს ის, რაც ყოველთვის უჭირდათ ქართველ ფეხბურთელებს. ბოლო თხუთმეტ წუთში ხელახლა მოიკრიბეს ძალა და კიდევ ორი გოლი გაიტანეს. ეს ისეთი მომენტია, რომელიც მშვიდად, დიდი ანგარიშით მოგებასაც გადასწონის.

ესაუბრა
ილია ბაბუნაშვილი.



გიგა ნორაკიძე ეროვნული ნაკრების ვარჯიშის დროს კიშინიოვში, მოლდოვას ნაკრებთან საერთაშორისო ამხანაგური მატჩის წინ.

# გულშემატკივრის ცნობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

წესების თანახმად, მსაჯები გამოსვლის შეფასებას იწყებენ მოასპარეზეთა წყალში ჩასვლის შემდეგ. ასე რომ, ნებისმიერი პროგრამის მესრულება ქორეოგრაფიული პრელუდიის გარეშეც შეიძლება, პირდაპირ წყალში (ზოგჯერ პროგრამას კოშკიდან ხტომითაც იწყებენ). მაგრამ ასეთ ეკონომიაზე არავინ მიდის. თითქმის ყველა სინქრონისტი გამოსვლის დაწყებას საცეკვაო მინიატურის შესრულებით ამჯობინებს.

სავალდებულო პროგრამა ასამდე სხვადასხვა ფიგურას მოიცავს. ამ ფიგურების დეტალურ აღწერას საერთაშორისო ფედერაციის კომიტეტი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ უგზავნის ქვეყნებს გასაცნობად. და აი, შეჯიბრების დაწყებამდე ერთი დღით ადრე ექვსი ფიგურისგან ადგენენ სავალდებულო სერიას. ამ ფიგურების შერჩევა კენჭისყრით ხდება, ამიტომ არავინ იცის, რას მიენიჭება უპირატესობა: „ხმალთევზას" თუ „კატალინას", „წეროს" თუ „ფლამენგოს", „ავერორას" თუ „ალბატროსს"... გამოსვლა შეიძლება იყოს ერთეული, წყვილთა, ჯგუფური, ან გუნდური, რომელშიც ოთხიდან რვამდე ან მეტი (იშვიათ შემთხვევაში) სინქრონისტი მონაწილეობს...

## სროლა

ხელის ცეცხლსასროლი იარაღი XIV საუკუნის მეორე ნახევარში გამოიგონეს, მსროლელთა პირველი ოფიციალური შეჯიბრება კი 1452 წელს გაიმართა შვეიცარიის ერთ პატარა ქალაქ სიურიში. დაახლოებით ამ პერიოდში გაჩნდა სროლისთვის განკუთვნილი პირველი ნაგებობა — ტირი, თუმცა, ისტორიკოსთა მტკიცებით, უმარტივესი ტიპის სასროლეთი ჯერ კიდევ რვა ათასი წლის წინათ არსებობდა. აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოდან 60 კილომეტრის დაშორებით, ძველი კობისტანის კლდის ნანგრევებზე, აღმოჩენილია პირველყოფილ მონადირეთა ნახატები. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახული ხარი მთლიანად დაცხრილულია ისრისა და შუბის წვერებით. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ მაშინდელი პროფესიონალი მონადირეები სწორედ ამ ადგილზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სროლის სიზუსტეში. თუ ეს ვარაუდი ჭეშმარიტებასთან ახლოა, მაშინ ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ ხარი ადამიანისთვის ცნობილი პირველი სამიზნე ყოფილა.



ნინო სალუქვაძე

1498 წელს ავსტრიელმა მესაჭურვლემ გასპარ ტოლნერმა თოფის ლულას შიგნიდან ღარები დააყოლა, ეს გამოგონება, რომელმაც საბოლოოდ დაასამარა გლუვლულიანი იარაღის მნიშვნელობა, ახალი ერის დაწყებას ნიშნავდა იარაღის წარმოებაში.

უფრო ადრე, დაახლოებით 1430 წლისათვის, ევროპაში გაჩნდა პნევმატიკური იარაღი, რომელიც ტყვიას ისვრის შეკუმშული ჰაერის (აირის) წნევის ძალით. მას თავდაპირველად იყენებდნენ, მერე კი ზოგიერთი ქვეყნის არმიაშიც გამოჩნდა (ავსტრია, საფრანგეთი) როგორც საბრძოლო იარაღი. მაგრამ, იმის გამო, რომ ნასროლი შორ მანძილამდე ვერ



თამაზ იმნაიშვილი

აღწევდა, პნევმატიკამ არმიაში ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა და ფეხი მხოლოდ სპორტულ სროლაში მოიკიდა.

XVI საუკუნიდან ხმარებაში შემოვიდა პისტოლეტი — ინდივიდუალური სასროლი იარაღი მოძრავი სამიზნის დასაზიანებლად, რომელიც პატრუქის დახმარებით ისროდა. გაცილებით უფრო გვიან, გასულ საუკუნეში, შეიქმნა სპორტული იარაღი. ინგლისელებმა ბირმინგემში დაამზადეს პირველი მცირეკალიბრიანი შაშხანა — იარაღი, რომლითაც სულ მალე მსოფლიოს ყველა მსროლელთა კლუბი აღიჭურვა.

1835 წელს ამერიკელმა კონსტრუქტორმა და მეწარმემ სამუელ კოლტმა (1814-1862) გააუმჯობესა ადრე არსებული რევოლვერის მოდელი და მას თავისი სახელი უწოდა, შემდგომში ამ ნიჭიერმა მეწარმემ სამხედრო იარაღის საკმაოდ ცნობილი ფირმა ჩამოაყალიბა, ხოლო მისი გაუმჯობესებული „კოლტი", ისევე, როგორც „სმიტ-ვესონი", დღემდე მსოფლიოში საუკეთესო პისტოლეტად ითვლება.

როცა პისტოლეტებზეა საუბარი, უსათუოდ უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი გვარი. ეს გახლავთ ჯონ ბრაუნინგი (1855-1926). მისი გამოგონებებიდან ყველაზე მეტად გავრცელდა ავტომატური პისტოლეტი, რომლის პატენტი მოგვიანებით ბელგიელებმა შეისყიდეს და რომლის პირველი ნიმუშიც საუკუნის მიწურულს, 1897-1898 წლებში გაჩნდა.

1905 წელს შეიქმნა სროლის ეროვნული ფედერაციებისა და ასოციაციების საერთაშორისო კავშირი, რომელმაც 1915 წლამდე იარსება და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გაუქმდა. 1921 წელს შვეიცარიაში ჩამოყალიბდა სასროლო სპორტის ახალი საერთაშორისო კავშირი, რომელიც თავის რიგებში 130-ზე მეტ ეროვნულ ფედერაციას აერთიანებს. იგი წარმატებით ხელმძღვანელობს სპორტის ამ სახეობის განვითარებას, ატარებს და კონტროლს უწევს ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებას.

სპორტული სროლა ორგვარია — სასტენდო და ეგრეთ წოდებული ტყვიის სროლა. მოძრავ სამიზნეებზე სროლის ასპარეზს სტენდს უწოდებენ. შეჯიბრების ადგილზე მოჰყავდათ ყუთებში დამწყვდეული გარეული მტრედები და სპეციალურ სიგნალზე ჰაერში უშვებდნენ ცოცხალი მტრედების დიდი რაოდენობით მოგროვება მუდამ პრობლემა იყო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი

# მკითხაობა შავი ზღვის ტალღაზე

„სპორტპროგნოზის“ თამაში, რაღა თქმა უნდა, მეტად მიმზიდველი საქმეა, მით უფრო, რომ „ათიანში მოხვედრა“ ან, პირიქით, ფიასკო ისეთ სახეობაში, როგორიც წყალთხილამურებაა ამინდის ჭირვეულობაზე, მონაწილეთა სპორტულ განწყობაზე, ეკიპირების ნიუანსებზე დიდად არის დამოკიდებული და ყოველივე ამან შეიძლება საბედისწერო როლი ითამაშოს ევროპის პირველობის სანუკვარი ჯილდოსთვის ბრძოლაში.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო აკვატორიუმში ძალთა განაწილება რაღაც კანონზომიერებას მაინც ემორჩილება. ამიტომაც შეიძლება თავს შავი ზღვის ტალღაზე მკითხაობის უფლება მისცე.

ფიგურული სრიალი, ანუ „ბალეტი წყალზე“, როგორც მას ხშირად უწოდებენ, მეტად საინტერესო, მიმზიდველი სანახაობაა. ფოთში ქალთა ასპარეზობაში, ბრძოლა, როგორც ჩანს, უმთავრესად საბჭოურ და ფრანგულ სკოლებს შორის გაჩაღდება. 1978 წლიდან, როცა ევროპის ჩემპიონობა სპორტის ამ სახეობის ისტორიაში პირველად მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა — ინესა პოტესმა, სსრ კავშირის წარმომადგენლები უცხოელებს პირველობას აღარ უთმობენ. ევროპის მრავალგზის ჩემპიონია ნატალია რუმიანცევა; ასევე უმაღლესი ჯილდო არაერთხელ მოუპოვებია მარინა ამელიანჩიკს. ამ უკანასკნელს ხვდა გამარჯვება ევროპის შარშანდელ ჩემპიონატში, რომელიც ტულუზაში გაიმართა. ფოთში გამოცდილ ოსტატებს შეიძლება სერიოზული კონკურენცია გაუწიოს ახალგაზრდა დუბნელმა წყალმოთხილამურემ ნატალია ივანოვამ. ყოველ შემთხვევაში მთელი შარშანდელი სეზონი იგი შესანიშნავად გამოდიოდა, ლიდერობდა საერთაშორისო ტურნირებში. ივანოვამ წლევანდელი სეზონიც გამარჯვებებით დაიწყო — ივნისის დამლევს იური გაგარინის პრიზზე გამართულ ასპარეზობაში ყველას აჯობა როგორც ფიგურულ სრიალში, ისე ტრამპლინიდან ხტომაში.

ვაჟებში უპირატესობა ფრანგების მხარესაა. განვლილ სეზონში ძალიან ძლიერი პროგრამით გამოდიოდა ახალგაზრდა სპორტსმენი ერიკ ბენე, რომელმაც მოიგო კიდეც ტულუზაში გამართული კონტინენტის პირველობა. უწინდებურად ელეგანტურია ფრანგ გულშემატკივართა კერპი პატრიკ მარტენი. წყალსათხილამურო სპორტის ბევრ მოყვარულს იგი სულ ბავშვი ახსოვს. ახლა მარტენი საფრანგეთის ტელევიზიის სპორტის კომენტატორია, მომღერალია, არაერთი დისკიც გამოუშვია, მაგრამ საყვარელი სახეობა არ მიუტოვებია.

სხვათა შორის, ორი წლის წინ მარტენი ფოთში იყო, დაათვალიერა მომავალი ასპარეზობის ადგილი. მან აღნიშნა ფოთის წყალსათხილამურო კომპლექსის დიდი პოტენციური შესაძლებლობები, თქვა, რომ აქ ძალიან მაღალ დონეზე შეიძლება ჩატარდეს პრესტიჟული ტურნირი. ასპარეზობის ჯილდოების სერიოზული პრეტენდენტია იტალიელი ანდრეა ალესი. მან თავი გამოიჩინა 1987 წელს მარსელის ტურნირში და მას შემდეგ ფიგურულ სრიალში ევროპელ სპორტსმენთა შორის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება.

საბჭოთა ფიგურისტები, რომლებიც სულ ბოლო დრომდე მოწინავეთა შორის იყვნენ, ახლა საგრძნობლად ჩამორჩნენ. ფავორიტთა შორის არის ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი სტანისლავ კორნეევი. შარშან ტულუზაში იგი VI ადგილზე დარჩა, მაგრამ გაგარინის პრიზზე გამართულ ასპარეზობაში ძლიერი პროგრამით გამოვიდა და გაიმარჯვა. თუმცა უცხოელ ოსტატებთან სერიოზული ბრძოლისთვის მეტია საჭირო. გარდა ამისა, როგორც ჩანს, აუცილებელია ახალი მეთოდიკის დამუშავება, რათა ახალგაზრდა თაობა მიუახლოვდეს ბენეს, მარტენის, ალესის დონეს.

სლალომში, მრავალჭიდის ამ ყველაზე „ჩქაროსნულ“ და მოულოდნელობებით აღსავსე სახეობაში, რომელშიც ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ამინდზე, შარშან ნატალია რუმიანცევამ ოქროს მედალი მოიპოვა. მაგრამ აქ უპირატესობა მაინც ინგლისურ სკოლას ეკუთვნის — ფილიპა რობერტსს, ჯონ ბოთლდეის, ენდრიუ მეპლს, შონ ბრონსონს. ეს სლალომისტები თითქმის ყველა დიდ ასპარეზობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა შორის არიან. ბოლო ხანს მათ მეტ კონკურენციას უწევენ იტალიელები კრისტიან რამპანელი და ჯორჯია სემილია.

ტრამპლინიდან ხტომა წყალსათხილამურო სპორტში სანახაობრივად ყველაზე მიმზიდველი სახეობაა. სპორტსმენები აქ ფანტასტიკური სიჩქარით ასპარეზობენ — ქალები ავითარებენ საათში 80, ვაჟები — 100 კილომეტრს. ფრენის მანძილი შესაბამისად 45 და 62 მეტრია. ამჟამად ევროპაში განსაკუთრებით დაწინაურდა ავსტრიული სკოლა. მისმა წარმომადგენლებმა ბრიტა გრებემ და კლაუდია გუზენბაუერმა ქალთა ასპარეზობაში, აგრეთვე სახელგანთქმულმა ფრანც ობერლაიტნერმა ტულუზაში ხტომის უნაკლო ტექნიკით მოხიბლეს გულშემატკივრები და სპეციალისტები. ავსტრიელმა წყალმოთხილამურე ქალებმა თავიანთ გუნდს შესაბამისად ოქროსა და ვერცხლის ჯილდოები მოუტანეს. ობერლაიტნერს მეორე ადგილი ხვდა. ბოლო ხანს ტრამპლინზე წარმატებით გამოდის ალესი — მისი შედეგები 60-მეტრიან ზღვარს უახლოვდება. იტალიელი სპორტსმენის ახალგაზრდობა, ხტომის მაღალი ტექნიკა, ემოციური ხასიათი — ეს ყველაფერი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ალესი კიდევ დიდხანს იქნება უძლიერეს წყალმოთხილამურეთა რიცხვში. მით უფრო, რომ მრავალჭიდიც, სადაც ყველაფერს სამჭიდის ცალკეულ სახეობებში ნაჩვენები შედეგების ჯამი წყვეტს, იტალიელი სპორტსმენი საუკეთესო იყო. სხვათა შორის, მრავალჭიდში გამარჯვება წყალსათხილამურო სპორტში განსაკუთრებით საპატიოდ ითვლება. აღსანიშნავია, რომ წინა ჩემპიონატში პრიზიორთა შორის აღმოჩნდა საბჭოთა წყალმოთხილამურე ივანოვა, რომელსაც მესამე ადგილი ხვდა. ალბათ სწორედ ნატაშა მიიღებს ესტაფეტას რუმიანცევასა და ამელიანჩიკისგან, რომლებსაც ევროპის ბოლო ჩემპიონატების სატურნირო ცხრილში პირველ სტრიქონებზე უკავიათ ადგილები.

წყლის თხილამურები სპორტის ტექნიკური სახეობაა და ამიტომ აქ მსაჯობა ძალიან დიდ როლს თამაშობს. ჯერ ერთი, მსაჯებმა უნდა უზრუნველყონ თანაბარი პირობები მონაწილეთათვის, რათა მათ თავიანთი შესაძლებლობები სრულად გამოავლინონ, მეორეც სპორტსმენთა გამოსვლა სწორად უნდა შეფასდეს. ამისთვის სლალომისტთა შეჯიბრებებში, მაგალითად, კატერის მოძრაობას ვიდეოჩანაწერებით აკონტროლებენ. ტრამპლინიდან ხტომაში კატერის სიჩქარე, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული ნახტომის სიგრძე, ავტომატურად რეგულირდება ქრონომეტრაჟის მოწყობილობის დახმარებით. დრო აქ 0,01 წამამდე სიზუსტით აღინუსხება. ფიგურისტთა გამოსვლებს ვიდეომაგნიტოფონით იწერენ და კონფლიქტის შემთხვევაში ამ ჩანაწერს მსაჯები ამოწმებენ. რეკორდები ვიდეოჩანაწერების ანალიზის გარეშე არ მტკიცდება.

ფოთში ევროპის პირველობის ჩატარება სპორტის ამ ლამაზი სახეობის მოყვარულებს საშუალებას მისცემს იხილონ კონტინენტის საუკეთესო წყალმოთხილამურეები, რომლებიც მაყურებელს უმაღლესი ოსტატობით მოხიბლავენ. ზოგიერთი მაყურებელი შეიძლება ისე გაიტაცოს ამ სახეობამ, რომ შემდეგ თვითონაც მოირგოს წყლის თხილამურები.

ნატალია მოსკომსკაია
საკუთარი კორესპონდენტი,
სპეციალურად „სარბიელისთვის“



## ოსტატობა და ცოტა იღბალიც

საქართველოს ნაკრების წევრი გენადი გურალია დაღლილი ჩანდა, არშინიანი პირსახოცით იშრობდა მზისგან გარუჯულ სხეულს და თან თავაზიანად პასუხობდა ჩვენს შეკითხვებს.

— **თავს როგორ გრძნობ?**

— ნორმალურად. ალბათ ყველაფერი რიგზე იქნება.

— **დღევანდელი ვარჯიშით თუ ხარ კმაყოფილი?**

— დიახ. შარშან ხტომებში ჩემი საუკეთესო შედეგი 48 მეტრს არ გასცილებია, ახლა კი სტაბილურად ვაღწევ 50 მეტრის ნიშნულს.

— **ამ შედეგით ევროპის ჩემპიონატზე რისი იმედი შეიძლება გქონდეს?**

— იმედი მაქვს, ფინალში გავალ. იქ კი ბევრი რამ იღბალზე იქნება დამოკიდებული.

— **ახალი ტრამპლინი როგორ მოგწონს?**

— შარშან უცხოეთში უკვე მოვსინჯე ამგვარი ტრამპლინი. აქაც ადვილად შევეჩვიე, კარგი ხტომები გამომდის.

— **მარტო ხტომებში გამოხვალ?**

— არა, ფიგურულ სრიალშიც და სლალომშიც.

— **ჩვენი გუნდის სხვა წევრებზე რას გვეტყვი?**

— როგორც ყოველთვის, კარგ სპორტულ ფორმაში არიან ხათუნა კორკელია და ვასილ ბუდუროვი. ვეცდებით ღირსეულად გამოვიდეთ ჩვენს ქალაქში და გავახაროთ მაყურებელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველა გზა ფოთში მიდის



ეს უძველესი შავიზღვისპირა ქალაქი პირველად მასპინძლობს ევროპის ჩემპიონატს. ფოთში კი არა, საქართველოშიც პირველად იმართება ამ რანგის შეჯიბრება. სხვა საკითხია, რომ წყალთხილამურები პოპულარობით ჩამოუვარდება სპორტის მთელ რიგ სახეობებს. ეს საერთოდ, თორემ ფოთში, მაგალითად, ფეხბურთის მერე ყველაზე მეტი თაყვანისმცემელი ალბათ წყალმოთხილამურეებს ჰყავთ. საქართველოს ნაკრებიც ძირითადად აქაური სპორტსმენებით ივსება, ამიტომაც შემთხვევითი არ არის, ფოთელები გამორჩეული ინტერესით ელოდნენ ჩემპიონატის დაწყებას. ჩვენი მკითხველი მეტნაკლებად ინფორმირებულია საჩემპიონატო სამზადისის თაობაზე და ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ „მწვავე ციტნოტის“ მიუხედავად, სტარტისთვის თითქმის ყველაფერი მზად იყო...

ჩვენ, „სარბიელის“ კორესპონდენტთა ოთხკაციანი ჯგუფი, 13 აგვისტოს დილით ჩავედით ფოთში. თავსაყრელი საქმით დაკავებულმა მასპინძლებმა, მართალია, კარგა ხანს ვერ მოიცალეს პრესის წარმომადგენელთათვის — ვიდრე დავბინავდებოდით, წყალსათხილამურო ცენტრსა და ტურბაზას შორის წარამარა სიარულში გვარიანად დავიღალეთ — მაგრამ საღამოსთვის, როგორც იქნა, საშველი დაგვადგა. სხვათა შორის, ჩემპიონატზე რესპუბლიკური პრესა ფართოდ არის წარმოდგენილი, აი, უცხოელთაგან კი პრესცენტრისთვის ჯერჯერობით არავის მოუმართავს. ჟურნალისტებმა 14 აგვისტოს დილით გაიარეს აკრედიტაცია და უმალ საქმეში ჩაერთვნენ. მთელი დატვირთვით მუშაობს „ელექტრონული პრესაც“ — წყალსათხილამურო სპორტის მოყვარულთ საშუალება ექნებათ პირდაპირი ტელერეპორტაჟით იხილონ ჩემპიონატის მთელი პროგრამა.

— თბილისის გარდა ჩვენ ყოველდღიურად „ვამარაგებთ“ რუსეთის ტელევიზიას, რომელმაც თავის მხრივ უცხოურ ტელეკომპანიებთან შუამავლის როლი იკისრა, — გვითხრა საქართველოს ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციის მთავარმა რეჟისორმა დავით ასათიანმა, — ტექნიკა ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გავმართეთ და იმედია შეფერხება არ გვექნება.

რეპორტაჟი რეპორტაჟად, მაგრამ ნამდვილ გულშემატკივარს ცხადია, ურჩევნია უშუალოდ „ოქროს ტბის“ ნაპირებიდან უცქიროს შეჯიბრებას — ჯერ კიდევ ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალის რეპეტიციაზე, მალთაყვაში ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი. ჩამოვიდნენ რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხიდან. ცხადია, მთელი დატვირთვით მუშაობენ წესრიგის დაცვის სამსახურები, რომლებიც, როგორც ამბობენ, ხანდახან ზედმეტ სიმკაცრესაც იჩენენ.



გერმანელი სტუმრები და ერთადერთი ქალი მათ გუნდში ნიკოლ ტრეუში.



16

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოთიდან მასალები მოგვაწოდეს „სარბიელის" სპეციალურმა კორესპონდენტებმა: ელგუჯა ბერიშვილმა, დიმიტრი ოზოლაძემ, შალვა შალოლაშვილმა, გია ახალაძემ (ფოტო).

# პრეზიდენტის კომენტარი და პროგნოზი



ორბი შინა ჟურნალისტთა გარემოცვაში.

გვიან ღამით სასტუმრო „ოქროს ტბის" ფოიეში ხალხმრავლობა იყო — ევროპის ჩემპიონატის ყველა მონაწილეს და საპატიო სტუმარს აქ მოეყარა თავი. ისინი სპეციალური ავიარეისით ვენიდან ჩამოფრინდნენ ქუთაისში, იქიდან კი „იკარუსებმა" მალთაყვაში ჩამოიყვანეს.

ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობის მიუხედავად, სტუმრები კარგ გუნებაზე იყვნენ. ეს, ცხადია, ხელს გვაძლევდა, დაუყოვნებლივ ვისარგებლეთ შემთხვევით და წყალსათხილამურო სპორტის ევროპის ფედერაციის პრეზიდენტს ორბი შინას გავესაუბრეთ.

— რა გასაკვირია, კარგ გუნებაზე ვართ, — გვითხრა ბატონმა შინამ, — იმან, რაც ფოთში ამ ბოლო ორი თვის მანძილზე გაკეთდა, ყველა მოლოდინს გადააჭარბა. შესანიშნავი კომპლექსი აშენდა, რომელიც თამამად შემიძლია შევადარო ევროპის საუკეთესო საწყლოსნო ბაზებს. ვფიქრობ, ეს კარგი სტიმული იქნება სპორტსმენებისათვის, რომლებიც ეცდებიან მთლიანად გამოავლინონ თავიანთი ოსტატობა და სიამოვნება მიანიჭონ მაყურებელს.

— **როგორც პრეზიდენტი, რა მნიშვნელობას ანიჭებთ ფოთის ჩემპიონატს?**

— ჯერ ერთი, მჯერა, რომ მალე ფოთი წყალსათხილამურო სპორტის უდიდეს ცენტრად იქცევა. რაც შეეხება ჩემპიონატს, ის ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჩვენი სპორტის ისტორიაში და მის შემდგომ პროგრესს შეუწყობს ხელს. აქ ხომ ევროპის უძლიერესი სპორტსმენები ჩამოვიდნენ, ჩემპიონატზე მედლებისათვის იბრძოლებენ ავსტრიის, ბელგიის, ჩეხეთსლოვაკეთის, ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, საბერძნეთის, გერმანიის, ესპანეთის, შვეიცარიისა და სსრ კავშირის 56 სპორტსმენი.

— **საქართველოს არ თვლით?**

— ჩათვალეთ, რომ ეს შეკითხვა არ გამიგია...

— **კი, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ქართველი სპორტსმენები აპირებენ ჩემპიონატში ასპარეზობას.**

— მხოლოდ ინდივიდუალურ სახეობებში და არა ცალკე გუნდად. საერთოდ, ამ ჩემპიონატს ჩვენთვის, როგორც ვთქვი, დიდი მნიშვნელობა აქვს, სამ კვირაში ავსტრალიაში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება და აქ, ფოთში, ევროპელებს კრგი საშუალება ეძლევათ კიდევ ერთხელ მოსინჯონ ძალები.

— **ამას წინათ შვეციაში, ქალაქ ფავერსტაში ევროპის თასის გუნდური გათამაშება გაიმართა...**

— ამ შეჯიბრებაზე კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით — ვერ დავესწარი, რადგან იმ დროს ძალზე დაკავებული ვიყავი პირადი საქმეებით. ფოთის ჩემპიონატს მივანიჭე უპირატესობა და ამიტომაც ჩამოვედი საქართველოში.

— **წყალთხილამურების ოლიმპიურ მომავალს როგორ უყურებთ?**

— ეს საკითხი, ბუნებრივია, მაღელვებს და ძალას არ დავიშურებთ, რათა საწადელს მივაღწიოთ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ 1996 წლის ოლიმპიადის პროგრამაში წყალსათხილამურო სპორტი არ იქნება. უნდა ვეცადოთ, რომ ოლიმპიური მოძრაობის სრულუფლებიანი წევრი გავხდეთ და 2000 წლის ოლიმპიადაში გამოვიდეთ. ეს საკითხი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 1994 წლის კონგრესზე გადაწყდება. ჩვენი მსოფლიო ფედერაცია 77 წევრს აერთიანებს. ეს დიდი ძალაა, რომელსაც სოკ-მა ანგარიში უნდა გაუწიოს.



# ...რმანელთა იმედი

...წყალმოთხილამურე გამოვა გერმანელთა ...შემადგენლობაში. ისინი ჩემპიონატის ... უცხოელ მონაწილეებთან ერთად ...ენ ფოთში.

...ხნის ჩამოსულები არა ვართ, მაგრამ შემიძლია ...მ აქ მშვენიერი პირობებია, — გვითხრა ...ა ნაკრების მწვრთნელმა პეტრა ტრაუტმანმა, ...ი დელეგაციის საერთო აზრია.

...ენადაც ვიცით, სრული შემადგენლობით ...თ. როგორ აფასებთ თქვენი გუნდისა და მისი ... წევრების შანსებს?

...რიტები ვართ მეთქი, ვერ გეტყვით, მაგრამ, ...მანსი ჩვენცა გვაქვს. ამის თქმის საფუძველს ...ტოკჰოლმში ახლახან გამართული ევროპის ...ური გათამაშების შედეგები. იქ ჩვენ, შეიძლება ...ოლოდ უიღბლობის გამო ვერ მოვხვდით ...ლში. რაც შეეხება ცალკეულ მონაწილეებს, ... ტრამპლინიდან ხტომაში მედლისთვის ... შტეფან ვილოდი. რაც შეეხება ქალთა ...ქ მხოლოდ ერთი სპორტსმენი გამოგვყავს.

...ებზე რას იტყვით?

...ტთა შორის უწინარესად, ალბათ, ინგლისისა ...ეთის გუნდები უნდა დავასახელო. ისინი, ...წესი, სტაბილურად გამოდიან ამ რანგის ...ში. აგერ ჩვენი ლიდერი შტეფან ვილდიც ...უ გინდათ, გაესაუბრეთ.

...ნ, თქვენთვის ეს მერამდენე ჩემპიონატია?

...პის ჩემპიონატში ორი წლის წინ გამოვედი ... ხტომებში მერვე ვიყავი, მრავალჭიდში — ...ან იუნიორთა ევროპის ჩემპიონატზე სამივე ...ედალი ავიღე და მრავალჭიდშიც გავიმარჯვე. ...ში ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი იდეალური ...პირი პირველად თქვენთან ვნახე. თავს კარგად ...გრამ აქ ერთ მედალსაც თუ ავიღებ, უფრო ...ებაზე დავდგები.

# მხტომელს რკინის გული უნდა ჰქონდეს



ვიაჩესლავ კობიალკო ეროვნებით ბელორუსია. მინსკში ცხოვრობს. ამჯერად ფოთში ჩამოვიდა, როგორც ევროპის ჩემპიონატის მსაჯთა კორპუსის წევრი, მაგრამ მას მხოლოდ ეს როდი აკავშირებს ამ ქალაქთან. როცა წყალთხილამურები აქ ფეხს „იდგამდა", სწორედ ეს გამოცდილი სპეციალისტი ჩაუდგა სათავეში ფოთელ სპორტსმენებს. კობიალკომ სამი წელი იმუშავა მწვრთნელად და მის პირველ მოწაფეებს შორის იყვნენ საქართველოს ნაკრების დღევანდელი ლიდერები ხათუნა კორკელია და გენადი გურალია. ვიაჩესლავს სწორედ მაშინ შევხვდით, როცა იგი თვალყურს ადევნებდა ჩვენი გუნდის ვარჯიშს.

— კმაყოფილი ვარ იმით, რომ ამ სპორტსმენების დაოსტატებაში მეც მიმიძღვის მცირე წვლილი. მახარებს მათი ყოველი წარმატება და ყოველთვის მზად ვარ გავუზიარო ჩემი გამოცდილება, მივცე საჭირო რჩევა-დარიგება.

— **ამჟამად როგორ გამოიყურებიან თქვენი ყოფილი მოწაფეები?**

— ბოლო წლებში ისინი საგრძნობლად დაწინაურდნენ. აქ, ფოთში, ორივეს შესწევს უნარი შეებრძოლონ ლიდერებს, ტრამპლინიდან ხტომების ფინალშიც გავიდნენ.

— **ეს ხომ სწორედ ის სახეობაა, ზადაც საბჭოთა სპორტსმენები საგრძნობლად ჩამორჩებიან ევროპელებს.**

— ხტომები ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობენ უცხოეთში. ეს იმიტომ, რომ ისინი სანახაობრივად იზიდავენ მაყურებელს. ამიტომაც, ევროპაში და ამერიკაში ხტომებს უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ. ვფიქრობ, ქართველი სპორტის მოყვარულებს საშუალება ექნებათ თვითონ დარწმუნდნენ ამაში. ფოთში ბევრი ძლიერი. მხტომელი ჩამოვიდა და მათი გამოსვლა დიდ შთაბეჭდილებას დატოვებს მაყურებელზე.

— **ამბობენ, ტრამპლინიდან ხტომები საწყლოსნო სპორტის ყველაზე რთული სახეობააო.**

— რთული და სპეციფიკურიც. ეს სახეობა სპორტსმენისგან მოითხოვს საუცხოო ფიზიკურ მომზადებას, ამავე დროს გამძლეობას, რკინის ნერვებს, სალ გონებას. და, რა თქმა უნდა, მაღალ ოსტატობას. მისი ყოველი მოქმედება სასტარტო დისტანციიდან ნახტომის დამთავრებამდე დიდ სიზუსტეს მოითხოვს.

— **თუ შეიძლება, დაგვიკონკრეტეთ...**

— მაგალითად, ცდის დროს კატარღის სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 57 კმ საათში ვაჟებისთვის და 51-ს ქალებისთვის. მაგრამ, როცა სპორტმსმენი ტრამპლინამდე ბოლო ვირაჟზე შემოდის, 100 კმ სიჩქარეს ანვითარებს საათში. როგორ ფიქრობთ, მას ალბათ რკინის გული უნდა ჰქონდეს?

— **გეთანხმებით, მაგრამ როგორ ფიქსირდება ეს დრო?**

— დღეს ყველაფერს კომპიუტერები ასრულებენ სრული სიზუსტით. ასევე ფიქსირდება ნახტომის სიგრძე: ტრამპლინის კიდიდან წყალზე დაშვებამდე.

— **დაშვების შემდეგ სპორტსმენი ხშირად ეცემა წყალზე. ასეთ შემთხვევაში ნახტომი ჩაეთვლება?**

— არა. დაშვების შემდეგ მან უნდა გაიაროს თხილამურებით კიდევ 100 მეტრი. როგორც უნდა — დგომში, ჯდომში, ცალ ფეხზე, მაგრამ აუცილებლად უნდა დაფაროს ეს მანძილი. მხოლოდ მაშინ ჩაეთვლება ცდა.

— **ტრამპლინსაც აქვს თავისი „საიდუმლო"?**

— ქალებისთვის ტრამპლინის სიმაღლე 150 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს, ვაჟებისთვის დაშვებულია უფრო მაღალი ნორმა არჩევით — 165 სმ-დან 180 სმ-მდე მათი ფიზიკური მონაცემების მიხედვით: ასაკი, სიმაღლე, წონა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტექნიკური შედეგები

### მძლეოსნობა

„გრან პრი“. ციურიხი. ვაჟები. 100 მ — 1. ლ. ბარელი — 10.04; 2. კ. ლუისი — 10,12; 3. დ. მიტჩელი (ყველა აშშ) — 10,13. 200 მ — მ. ჯონსონი (აშშ) — 20.08. 400 მ — დ. ევერეტი (აშშ) — 44.42. 800 მ — ხ. - ლ. ბარბოზა (ბრაზილია) — 1,43,75 (სეზონის საუკეთესო დრო). 1500 მ — ნ. მორსელი (ალჟირი) — 3.31,00 (სეზონის საუკეთესო დრო). 5000 მ — დ. ონდიეკი (კენია) — 13,02,82 (სეზონის საუკეთესო დრო). 110 მ თარჯრბენი — რ. ნეჰემია (აშშ) — 13,22. 400 მ. თარჯრბენი — ს. მატატე (ზამბია) — 47.10 (სეზონის საუკეთესო დრო). 3000 მ დაბრკოლებები — მ. კიპტანუი (კენია) — 8.16,09. 4X100 მ — აშშ (მ. მარში, ლ. ბარელი, დ. მიტჩელი, კ. ლუისი) — 37,67 (მსოფლიო რეკორდი). სიმაღლე — ჩ. ოსტინი (აშშ) — 2.40 (სეზონის საუკეთესო შედეგი). ჭოკი — ს. ბუბკა — 5.90. ბირთვი — ვ. გიუნტერი (შვეიცარია) — 20,99. ბადრო — ჯ. კეზმირი (აშშ) — 65,56. შუბი — ი. ჟელეზნი (ჩეხოსლოვაკეთი) — 88.79.

ქალები. 100 მ — 1. მ. ოტი (იამაიკა) — 10,87; 2. გ. ტორენსი (აშშ) — 11,04. 200 მ — ი. პრივალოვა (სსრკ) — 22,21. 1500 მ — ნ. არტემოვა (სსრკ) — 3.59,16 (სეზონის საუკეთესო დრო). 100 მ თარჯრბენი — ნ. გრიგორიევა (სსრკ) — 12.51. 400 მ თარჯრბენი — ს. განელა (დიდი ბრიტანეთი) — 53,61. სიგრძე — ლ. ბერეჟნაია (სსრკ) — 7.13.

### წყალთხილამურები

ევროპის თასი. ფაგერსტა (შვეცია). გუნდური: 1. ინგლისი; 2. საფრანგეთი; 3. სსრკ.

### ფეხბურთი

პანამერიკული თამაშები. ფინალი. აშშ-მექსიკა 2:1.

ამხანაგური მატჩები. „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „ბენფიკა“ 3:2. „ვესტ ჰემი“ — „ბოტაფოგო“ 1:2, „ბეტისი“ — „ჰონვედი“ 2:1, „რეალი“ (სან-სებასტიანი) — „ევერტონი“ 0:0, პოლონეთი — საფრანგეთი 1:5.

### ჩოგბურთი

ტორონტო. ფინალი: კაპრიატი (აშშ) — კ. მალეევა (ბულგარეთი) 6:2, 6:3. ცინცინატი (აშშ). გი ფორჟე (საფრანგეთი) — პიტ სამპრასი (აშშ) 2:6, 7:6, 6:4.

# ვინ რამდენი

გაზეთი „Советский спорт плюс 8“ მეათე ნომერში აქვეყნებს საინტერესო ინფორმაციას: საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტის ხელმძღვანელი ორგანოები (სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვა სახელწოდება აქვს: კომიტეტი, დეპარტამენტი, სამინისტრო.) 1991 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან რა თანხას უთმობენ ფიზკულტურასა და სპორტს (მილიონ მანეთებში).

რსფსრ 20,6
მოსკოვი 2,4
ლენინგრადი 3,9
უკრაინა 12
ბელორუსია 14
უზბეკეთი 12,5
ყაზახეთი 4,5
საქართველო 6
აზერბაიჯანი 5,5
ლიტვა 4,5
მოლდოვა 2,2
ლატვია 4,3
ყირგიზეთი 1,8
ტაჯიკეთი 1,7
სომხეთი 5,8
თურქმენეთი 1,6
ესტონეთი 7

კავკასიის ბირჟა

ვაჭრობა დაიწყო

ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს „კავკასიის ბირჟაზე“ ეწყობა რეგულარული ვაჭრობა.

მიმდინარეობს განცხადების მიღება ვაჭრობაში მონაწილეობისათვის. ვაჭრობაში მონაწილეობენ აუქციონერები რუსეთიდან, ყაზახეთიდან, უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან; „კავკასიის ბირჟის“ უცხოელი პარტნიორები.

ვაჭრობაზე შეიძლება სახალხო მოხმარების საქონლის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, სამშენებლო მასალების, ელექტრომოწყობილობების, სათბობის, სატრანსპორტო საშუალებების წარმოდგენა.

ვაჭრობაში მონაწილეობა შეიძლება მხოლოდ „კავკასიის ბირჟის“ საბროკერო ფირმების მეშვეობით.

საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, კოოპერატივებმა და ასოციაციებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროდუქციის თავისუფალ ფასებში რეალიზაციით ან შეძენით, ბროკერებთან დასაკავშირებლად უნდა მიმართონ საინფორმაციო ცენტრს.

ტელეფონი 38-46-90.
მისამართი: ვაჟა ფშაველას 72.

კავკასიის ბირჟა

სააქციონერო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“
სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო“

# „უმჯობესია ლიდერი იყო, ვიდრე მისი მდევარი“

ბრაზილიელმა აირტონ სენამ, რომელიც „მაკლარენ-ჰონდას“ მანქანით გამოდის, ბოლო წრეებზე ბრიტანელი ნაიჯელ მენსელის რამდენიმე შემოტევა უკუაგდო და გაიმარჯვა ფორმულა-1-ის მსოფლიო ჩემპიონატის გრან-პრის სერიის მორიგ ეტაპზე, უნგრეთში.

ნაიჯელ მენსელი, რომელმაც მანამდე ზედიზედ სამი ეტაპი მოიგო, ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა. იგი გამარჯვებულს მხოლოდ 4.599 წამით ჩამორჩა. მისმა თანაგუნდელმა „უილიამსიდან“, იტალიელმა რიკარდო პატრეზემ მესამე ადგილი დაიკავა.

ეს სენას სპორტულ ბიოგრაფიაში 31-ე გამარჯვებაა და პირველი, წლეულს მაისში, მონაკოში ჩატარებული ეტაპის შემდეგ. სენამ სეზონი ზედიზედ ოთხი გამარჯვებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ინიციატივა მეტოქეებმა ჩაიგდეს და მან უკანასკნელ ხუთ რბოლაში მხოლოდ ორი მესამე და ერთი მეოთხე ადგილის დაკავება მოახერხა. უნგრეთის გრან-პრის გათამაშება მისთვის კრიტიკული იყო და თუ არა გამარჯვება, იგი შესაძლოა ლიდერობას გამოსთხოვებოდა. ახლა ბრაზილიელი პილოტი ჩემპიონატში, 10 ეტაპიდან 61 ქულით პირველ ადგილზეა და უახლოეს მდევარს, მენსელს 12 ქულით უსწრებს. უნგრეთში სენას წარმატებამ „მაკლარენს“ კონსტრუქტორთა შორის კვლავ ლიდერობა დაუბრუნა, თუმცა მხოლოდ ორი ქულის უპირატესობით.

ჰუნგარორინგის სტადიონზე წარმატებას საფუძველი საკვალიფიკაციო რბოლებში ეყრება. საკმაოდ ნელი ტრასა, რომელიც ტექნიკურად რთული გასავლელია, პრაქტიკულად გასწრების საშუალებას არ იძლევა, განსაკუთრებით, როცა ლიდერები აუტსაიდერებს ეწევიან. ამასთან გრძელი სწორი მონაკვეთების არარსებობა მძლავრი ძრავების უპირატესობას აბათილებს. არც მიმდინარე ეტაპი იყო გამონაკლისი. იცოდა რა ამ ტრასის თავისებურებები და გაითვალისწინა რა მასზე ბოლო ორი წლის მანძილზე დაშვებული საკუთარი შეცდომები (1989 წელს წააგო მენსელთან, ხოლო შარშან ბელგიელ ტიერი ბუტსენთან), სენამ ყველა ღონე იხმარა საკვალიფიკაციო რბოლებზე და მოიპოვა სანუკვარი „ფულ-პოზიშნ“ — პირველი სასტარტო პოზიცია, დანარჩენი კი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ტექნიკის საქმე იყო. კარგი სტარტის შემდეგ მას ბოლომდე არავისთვის დაუთმია ლიდერობა.

— უნგრეთის ტრასაზე ძალიან ძნელია ვინმეს გასწრება. ისევე, როგორც მუდმივად წინ ყოფნა, — ეშმაკურად განაცხადა სენამ ფინიშის შემდეგ — მაგრამ, მაინც უმჯობესია ლიდერი იყო, ვიდრე მისი მდევარი.

რიკარდო პატრეზემ „უილიამსით“ სტარტი მეორე პოზიციიდან აიღო, თუმცა დასაწყისშივე კინაღამ მენსელი გაუშვა წინ. იგი 77-დან 44 წრის განმავლობაში უსწრებდა მას, მაგრამ მენსელი ჯიუტად სდევდა კუდში და მაინც დაათმობინა პოზიცია. პატრეზე იძულებული გახდა თანაგუნდელისთვის საჩუქარი მიეძღვნა, ნაიჯელს ხომ ხუთშაბათს 38 წელი შეუსრულდა.

პრესკონფერენციაზე, სადაც, როგორც წესი, რბოლის ცხარე გარჩევა მიმდინარეობს, უამრავი კითხვა უშუალოდ მენსელს ეხებოდა. ბევრი გაოცებული იყო, რატომ არ შეუტია მან სენას და პატრეზეს სტარტზევე, როდესაც ჩამორჩენილები ჯერ „ფეხებში არ ებლანდებოდნენ“. თავად ნაიჯელმა ეს ასე ახსნა:

— პირველი ათი წრის განმავლობაში ჩემი მანქანა საბურავების ძლიერ ვიბრაციას განიცდიდა, ხოლო პირველი ოცი წრის განმავლობაში მუხრუჭის პრობლემა მქონდა. ამასთან სენამ, ერთი შეცდომაც არ დაუშვა მე რომ გამომეყენებინა. ტრასაც ხელს უწყობდა, რალაც მომენტში მე მას დავეწიე, მაგრამ გასწრება შეუძლებელი იყო. ფაქტობრივად ბრძოლის ბედი სტარტზევე გადაწყვეტილი იყო და მე კმაყოფილი ვარ, რომ 6 ქულა მოვიპოვე. სენამ გამარჯვება დაიმსახურა.

ბრძოლა, როგორც მოსალოდნელი იყო, სენა-მენსელ-პატრეზეს ტრიოს შორის გაიმართა. რბოლის მეორე ნახევარში მენსელმა სცადა გასწრება, მაგრამ შემდეგ შეეგუა მდგომარეობას და სხვაობა ნახევარი წამიდან სამ წამამდე გაიზარდა. პატრეზემ გაიგო მექანიკოსებიდან, რომ მის შემდეგ მომავალი ავსტრიელი გერჰარდ ბერგერი მას 20 წამით ჩამორჩება და დაწყნარდა, რადგან პრიზიორთა შორის ადგილი გარანტირებული ჰქონდა. ბრძოლაში ვერ ჩაერია ფრანგი ალენ პროსტი, რამეთუ 28-ე წრეზე მისი „ფერარის“ ძრავამ „აურია“. გამუდმებულ დამუხრუჭება-აჩქარებას და სიჩქარეთა გადართვას 38-ე წრეზე ველარ გაუძლო პიკეს „ბენეტონის“ სიჩქარეების კოლოფმაც. მაინც, ეთიკის ნორმების დაცვით თავმოყვარე სენამ შეუხედავად ერთგვარი შეშფოთებისა პატივი მიაგო მეტოქეებს:

— ნაიჯელისა და რიკარდოს დამარცხება ძალიან ძნელია და რა სამწუხაროა, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ ასე შორსაა.

**უნგრეთის „გრან-პრი“. 11 აგვისტო. „ჰუნგარორინგის“ ავტოდრომი. 77 წრე. საერთო სიგრძე 305,536 კმ. ერთი წრის (3968მ.) გავლის საუკეთესო შედეგი: ბერნარ გაშო 1.21,547 (175,173 კმ/სთ).**

**1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენი“) — 1:49.12,796 (167,867 კმ/სთ); 2. ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამსი“) — ჩამორჩა 4,599წმ-ით; 3. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამსი“) — 5,594; 4. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენი“) — 21,856; 5. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი“) — 31,389; 6. ივან კაპელი (იტალია, „ლეიტონ ჰაუზი“) — 1 წრე; 7. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „ჯორდანი“) — 1; 8. რობერტო მორენო (ბრაზილია, „ბენეტონი“) — 1; 9. ბერტრან გაშო (საფრანგეთი, „ჯორდანი“) — 1; 10. ერიკ კომასი (საფრანგეთი, „ლიჟიე“) — 2; 11. მაურისიო გუჟელმინი (ბრაზილია, „ლეიტონ ჰაუზი“) — 2; 12. სტეფანო მოდენა (იტალია, „ტირელი“) — 2; 13. ჯანი მორბიდელი (იტალია, „მინარდი“) — 2; 14. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „ლოტუსი“) — 3; 15. სატორუ ნაკაჯიმა (იაპონია, „ტირელი“) — 3; 16. ნიკოლა ლარინი (იტალია, „მოდენა“) — 3; 17. ტიერი ბუტსენი (ბელგია, „ლიჟიე“) — 6. კვალიფიკაცია ვერ მიიღეს: 18. პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „ფერარი“) — გამოეთიშა 65-ე წრეზე; 19. მარკ ბლანდელი (დიდი ბრიტანეთი, „ბრებჰემი“) — 62; 20. მარტინ ბრანდლი (დიდი ბრიტანეთი, „ბრებჰემი“) — 59; 21. ირკა ლეჰტო (ფინეთი, „დალარა“) — 49; 22. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონი“) — 38; 23. ერიკ ბერნარი (საფრანგეთი, „ლოლა“) — 38; 24. აგური სუზუკი (იაპონია, „ლოლა“) — 38; 25. ემანუელე პირო (იტალია, „დალარა“) — 37; 26. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი“) — 28.**

**საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. მაკლარენი — 83; 2. უილიამსი — 81; 3. ფერარი — 35; 4. ბენეტონი — 23; 5. ჯორდანი — 13; 6. ტირელი — 11; 7. დალარა — 5; 8-9. მინარდი, ლოტუსი — 3-3; 10. ლოლა — 2.**

ბორის მიხაილოვი
საკდესის კორესპონდენტი,
სპეციალურად „სარბიელისთვის“.

### აირტონ სენა
(ბრაზილია)



დაიბადა 1960 წლის 21 მარტს სან-პაულუში.

ის, რომ ბოლო ხუთ ეტაპზე თავისთვის შეუფერებელი გამოსვლის შემდეგ წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერმა აირტონ სენამ „გამოიღვიძა“ და ძველებურად აგრესიული გახდა, უკვე საკვალიფიკაციო რბოლისას გამოჩნდა. ბრაზილიელმა პილოტმა შაბათს „ჰუნგარორინგზე“ საუკეთესო დრო აჩვენა და ტრასის რეკორდიც დაამყარა.

ისიც უნდა ილინიშნოს, რომ სენამ უნგრეთში ტრადიციას არ უღალატა. ამ ტრასაზე პირველ ორ რბოლაში იგი მეორე იყო ფინიშთან, შემდეგ წელს კი გაიმარჯვა. მომდევნო ორ რბოლაში ისევ მეორე ადგილზე გავიდა. ასე, რომ „გეგმით“ წელს უნგრეთის დიდი პრიზი სწორედ სენას უნდა მოეგო.

ახლა მის ანგარიშზეა 31 „გრან პრი“ 120 რბოლიდან და ••• ქულა.

„ჰუნგარორინგზე“ გამარჯვება „მაკლარენისთვის“ 91-ე „გრან-პრი“ იყო 356 რბოლაში. ამ, მაჩვენებლით კვლავინდებურად ლიდერობს „ფერარი“ — 103 მოგება.

და კიდევ ერთი: ასეთი უილბლო ჩემპიონატი არასდროს ქონია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ალენ პროსტს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა 10 ეტაპის შემდეგ მას არც ერთი მოგება არა აქვს.



| # | | | აშშ | ბრაზილია | სან-მარინო | მონაკო | კანადა | მექსიკა | საფრანგეთი | ინგლისი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | პორტუგალია | ესპანეთი | იაპონია | ავსტრალია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აირტონ სენა<br>ბრაზილია | მაკლარენი | 10 | 10 | 10 | 10 | — | 4 | 4 | 3 | — | 10 | | | | | | | 61 |
| 2 | ნაიჯელ მენსელი<br>დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | — | — | — | 6 | 1 | 6 | 10 | 10 | 10 | 6 | | | | | | | 49 |
| 3 | რიკარდო პატრეზე<br>იტალია | უილიამსი | — | 6 | — | — | 4 | 10 | 2 | — | 6 | 4 | | | | | | | 32 |
| 4 | გერჰარდ ბერგერი<br>ავსტრია | მაკლარენი | — | 4 | 6 | — | — | — | — | 6 | 3 | 3 | | | | | | | 22 |
| 5 | ალენ პროსტი<br>საფრანგეთი | ფერარი | 6 | 3 | — | 2 | — | — | 6 | 4 | — | — | | | | | | | 21 |
| 6 | ნელსონ პიკე<br>ბრაზილია | ბენეტონი | 4 | 2 | — | — | 10 | — | — | 2 | — | — | | | | | | | 18 |
| 7 | ჟან ალეზი<br>საფრანგეთი | ფერარი | — | 1 | — | 4 | — | — | 3 | — | 4 | 2 | | | | | | | 14 |
| 8 | სტეფანო მოდენა<br>იტალია | ტირელი | 3 | — | — | — | 6 | — | — | — | — | — | | | | | | | 9 |
| 9 | ანდრეა დე ჩეზარისი<br>იტალია | ჯორდანი | — | — | — | — | 3 | 3 | 1 | — | 2 | — | | | | | | | 9 |
| 10 | რობერტო მორენო<br>ბრაზილია | ბენეტონი | — | — | — | 3 | — | 2 | — | — | — | — | | | | | | | 5 |

# „სამპდორია-35" იტალიელთა წინააღმდეგ

ლენინგრადში გაიმართა ნორჩ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომლის სტარტზე გამოსულ ოცამდე გუნდს შორის იყო თბილისის „სამპდორია-35". ნუ გაგაკვირვებთ ჩვენი გუნდის ასეთი უცხო, იტალიური სახელი. ნორჩი სპორტსმენები (1979 წელს დაბადებულნი) 35-ე საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები არიან. მათი შეფობა კი იკისრა ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბმა „სამპდორიამ" (პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი). თბილისელი ჭაბუკები აღნიშნულ ასპარეზობაში სწორედ ამ კლუბის უშუალო შუამდგომლობით დაუშვეს.

თბილისელები პირველ შეხვედრაში დამარცხდნენ მასპინძლებთან — „სმენას" გუნდთან 0:3, შემდეგ კი სძლიეს ორ იტალიურ კლუბს „სან-ჩიპრიანოს" — 4:0 და „პრიმავერას" — 2:0.

ნახევარფინალში ჩვენების მეტოქე ისევ „პრიმავერა" იყო. თბილისელმა ფეხბურთელებმა ამჯერად უფრო ძლიერად ითამაშეს და მოწინააღმდეგე დიდი ანგარიშით დაამარცხეს — 8:1.

ფინალურ შეხვედრაში „სამპდორია-35" კვლავ „სმენას" შეებრძოლა. ამჯერად მთელი თამაში თბილისელ ფეხბურთელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით დასრულდა — 2:0.

ამრიგად, „სამპდორია-35" (მწვრთნელები თემურ თვალჭრელიძე და ოთარ ნათაძე) ტურნირის მთავარ პრიზს და ფულად ჯილდოს — 500 მანეთს დაესაკუთრა.

ბოლოს აღსანიშნავია ის ორგანიზაციები, ვისი დახმარებითაც მოხერხდა ჩვენი გუნდის გამგზავრება ლენინგრადში: ასოციაცია „თბილმშენის" მე-7 სამმართველო, თბილისის გაერთიანება „ვაჭრობტრანსის" და მრავალდარგობრივი სამხატვრო საწარმო-კოოპერატივი „რეინექსი".

გია ახალაძე

# ახალი რეინჯერი გლაზგოში



ალექსეი მიხაილიჩენკო

შოტლანდიის ჩემპიონი გლაზგოს „რეინჯერსი" კვლავ რჩება კლუბად, რომელიც ბრიტანულ ფეხბურთში ყველაზე მეტ ფულს ხარჯავს ახალი ფეხბურთელების შესაძენად. „რეინჯერსმა" ტრადიციას არც წლეულს უღალატა. კლუბმა 3,2 მილიონ დოლარად იყიდა საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი ალექსეი მიხაილიჩენკო. მიხაილიჩენკომ დატოვა იტალიის ჩემპიონი „სამპდორია", საიდანაც იგი, როგორც თვითონ ამბობს, იტალიის ნაკრების მოთამაშეებმა ჯანლუკა ვიალიმ და რობერტო მანჩინიმ გამოაძევეს.

კლუბის პრეზიდენტი დეივიდ მარი ამბობს: „მე საკმაო ხანს ვესაუბრე ალექსეის იმის შესახებ, თუ რატომ იყო გასული სეზონი მისთვის წარუმატებელი. მიხაილიჩენკოს აზრით, „სამპდორიას" სხვა ვარსკვლავებს არ უნდოდათ, რომ ის ყურადღების ცენტრში მოხვედრილიყო".

„რეინჯერსმა" უკვე გადაიხადა 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი (1,6 მილიონი დოლარი) შოტლანდიის ნაკრების მეკარის ენდი გორამის „ჰიბერნიანისგან" შესაძენად. როგორ ახერხებს კლუბი ასეთი ძვირადღირებული გარიგებების დაფინანსებას? კლუბის პრეზიდენტი ამბობს: „სეზონის დასკვნითი მატჩების შემოსავალმა 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. ჩვენ გულშემატკივრების მადლობელი უნდა ვიყოთ. მათ მოგვცეს ჩვენ ფული, რომლითაც ახალი ფეხბურთელები ვიყიდეთ. ვფიქრობთ, რომ ეს ფული ჭკვიანურად გამოვიყენეთ."

„რეინჯერსმა" „სამპდორიას" უკვე გადაუხადა 1,7 მილიონი დოლარი, დანარჩენს კი 11 თვის შემდეგ მისცემს, როცა მიხაილიჩენკო „რეინჯერსში" 50 მატჩს ჩაატარებს.

„რეინჯერსის" მეორე მწვრთნელი არჩი ნოქსი, რომელიც წინათ „მანჩესტერ იუნაიტედის" მეორე მწვრთნელად მუშაობდა, მიხაილიჩენკოს „მანჩესტერის" კაპიტანს ბრაიან რობსონს ადარებს: „მიხაილიჩენკო სწორედ ამ კატეგორიის ფეხბურთელია. იგი ძალიან ბევრს შემატებს ჩვენს ნახევარდაცვას. მიხაილიჩენკო რუსეთისა და უნგრეთის ნაკრებების მატჩში ვნახე. მას შეუძლია ყველა კომბინაციას უხელმძღვანელოს. მიხაილიჩენკო ამას რუსეთის ნაკრებში და კიევის გუნდში წარმატებით აკეთებდა და დარწმუნებული ვარ, „რეინჯერსშიც" გააკეთებს".

მიხაილიჩენკოს გვერდით „რეინჯერსში" ითამაშებს მისი ყოფილი თანაგუნდელი ოლეგ კუზნეცოვი, რომელმაც გასულ სეზონში მხოლოდ ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ კი ფეხის მძიმე ტრავმა მიიღო და სამკურნალოდ აშშ-ში წასვლა მოუწია. ახლა კუზნეცოვს ტრავმა აღარ აწუხებს.

მიხაილიჩენკო ამბობს: „ამას წინათ კიევში ოლეგს ვესაუბრე. მან ძალზე კარგად დაახასიათა „რეინჯერსი", მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჩემით მივიღე. დიდი ხანი არაა, რაც იტალიური ვისწავლე. ახლა ინგლისურის სწავლა მომიწევს. იმედია, ოლეგი დამეხმარება. „რეინჯერსმა" ჩემს საყიდლად დიდი თანხა გაიღო და მე უნდა დავამტკიცო, რომ ეს ფული კლუბს წყალში არ გადაუყრია".

გიორგი ნატროშვილი,

უცხოური პრესის მიხედვით.

# ჩრდილოეთი — სამხრეთი

აშშ-ს ნაკრები მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ ამერიკის მორიგ საფეხბურთო ჩემპიონატში, რომელიც 1993 წელს გაიმართება, ხოლო არგენტინის ნაკრები იასპარეზებს 1993 წლის კონკაკაფ-ის ოქროს თასის გათამაშებაში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს კონკაკაფ-ის (ჩრდილო და ცენტრალური ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის) და სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო კონფედერაციებმა.

აშშ-ს ნაკრების გარდა, რომელმაც ეს უფლება კონკაკაფ-ის თასის მოპოვებით დაიმსახურა, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში ჩრდილო და ცენტრალური ამერიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ალბათ მექსიკის ნაკრები იასპარეზებს. ამას გარდა, 1992 წელს გაიმართება მატჩი, რომელიც ამერიკის კონტინენტის ჩემპიონს გამოავლენს. ერთმანეთს არგენტინისა და აშშ-ს ნაკრებები შეხვდებიან.

# ხუთასი მატჩი

პოლონურმა ფეხბურთმა თავისებური იუბილე აღნიშნა: ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა თავისი არსებობის მანძილზე 500 მატჩი ჩაატარა. მოიგო 215 შეხვედრა, ფრედ დაამთავრა — 111 და წააგო — 174. ბურთების ბალანსი გუნდს დადებითი აქვს — 922:752. პოლონეთის ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ყველა ჩემპიონატში და მსოფლიო ჩემპიონატების ხუთ ფინალურ ტურნირში, სადაც ორჯერ დაიკავა მესამე ადგილი.

მთელი დროის განმავლობაში ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში უთამაშია 604 ფეხბურთელს. ყველაზე ხშირად „წითელ-თეთრი" ფორმით მოედანზე გამოსულან თავდამსხმელი გჟეგოჟ ლატო (104 მატჩი), ნახევარმცველი კაზიმეჟ დეინა (102) და მცველი ლადისლავ ჟმუდა (92). ეს უკანასკნელი მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატების ოთხ ფინალურ ტურნირში და ამ მაჩვენებლით მეორე-მეშვიდე ადგილს იყოფს (მხოლოდ ერთ ფეხბურთელს აქვს უკეთესი შედეგი — სახელგანთქმულმა მექსიკელმა მეკარემ ანტონიო კარბახალმა ხუთ ფინალურ ტურნირში მიიღო მონაწილეობა). ჟმუდამ ამ ტურნირებში 21 მატჩი ითამაშა და გერმანელ უვე ზეელერთან ერთად მსოფლიო რეკორდის თანაავტორი გახლავთ.

ეროვნული ნაკრების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირია ვლოდიმეჟ ლიუბანსკი — 50 გოლი.



„მატჩი"

გჟეგოჟ ლატო

# ფეხბურთის რუკასთან

დანიის ნაკრების მეკარე პეტერ შმეიხელი „ბრონდბიუდან" ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა. მანჩესტერელებმა „ბრონდბიუს" 870 ათასი დოლარი გადაუხადეს. ამას გარდა, ეს გუნდები გამართავენ ორ ამხანაგურ მატჩს, რომლის შემოსავალი „ბრონდბიუს" გადაეცემა.

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-5 ტურში „მონაკომ" მოუგო „ლიონს" (1:0) და კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია. „მონაკოს" 10 ქულა აქვს. მას ორი ქულით ჩამორჩებიან „მეცი" და „მარსელი". „მარსელმა" შინ ფრედ (0:0) დაამთავრა შეხვედრა „პარი სენ-ჟერმენთან". „პარი სენ-ჟერმენისთვის" ეს ზედიზედ მეხუთე ფრეა. სხვა შედეგები: „მონპელიე" — „ტულონი" 1:0, „კანი" — „ლილი" 1:1, „სენტ-ეტიენი" — „ტულუზა" 2:1, „ლანი" — „სოშო" 1:1, „ოსერი" — „ნიმი" 0:0, „ნანტი" — „კაენი" 2:1, „ლე ავრი" — „რენი" 0:0, „ნანსი" — „მეცი" 1:3.

არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ სურვილი გამოთქვა, რომ კუბელ ბავშვებს ფეხბურთის თამაში ასწავლოს. მან თქვა, რომ გაკვეთილებს უსასყიდლოდ ჩაატარებს. ეს აზრი ძალიან მოეწონა კუბის პრეზიდენტს ფიდელ კასტროს. არ არის გამორიცხული, რომ მარადონა თავის ცოლთან კლაუდიასთან ერთად საცხოვრებლად კუბაში გადავიდეს.

ბრაზილიელი ფეხბურთელი კარეკა უგზო-უკვლოდ დაიკარგა. კარეკა არ გამოცხადდა „ნაპოლის" საწვრთნელ შეკრებაზე. კლუბის ხელმძღვანელობამ არ იცის კარეკას ადგილსამყოფელი. დადის ხმები, რომ გუნდიდან მარადონას წასვლის შემდეგ კარეკას აღარ სურს „ნაპოლიში" თამაში. გუნდში არგამოცხადებისათვის ბრაზილიელ ფეხბურთელს ჯარიმა ან დისკვალიფიკაცია ემუქრება.

შოტლანდიის ჩემპიონატის პირველ ტურში ფავორიტებმა გამარჯვებები მოიპოვეს. „რეინჯერსმა" მოუგო „სენტ-ჯონსტონს" 6:0 (3 გოლი გაიტანა ჰეიტლიმ, 2 — ჯონსტონმა, 1 — ფერგიუსონმა). „აბერდინმა" — „ეარდრის" 2:1, „სელტიკმა" — დანდი იუნაიტედს" 4:3.

ესპანეთის ქალაქ უელვაში დამთავრდა ტრადიციული საზაფხულო ტურნირი. პირველ ადგილზე გავიდა მადრიდის „ატლეტიკო", რომელმაც ფინალში „სევილიას" სძლია 1:0. გოლი გერმანელმა ბერნდ შუსტერმა გაიტანა. შუსტერი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. მესამე ადგილისათვის შეხვედრაში „უელვამ", რომელიც ესპანეთის მეორე ლიგაში ასპარეზობს, დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი" — 2:1.

„ბარსელონის" რიგებს კიდევ ერთი ჰოლანდიელი ფეხბურთელი შეემატა. კატალონიის კლუბმა ხელშეკრულება დადო ამსტერდამის „აიაქსის" ნახევარმცველთან რიხარდ ვიტსხგესთან. ვიტსხგე, რომელიც „ბარსელონას" 870 მილიონი პესეტა (8 მილიონ დოლარზე მეტი) დაუჯდა, გუნდის მეოთხე უცხოელი ფეხბურთელი იქნება.

ავსტრიის ჩემპიონატში 5 ტურის შემდეგ ლიდერობს ვენის „რაპიდი", რომელმაც 9 ქულა მოაგროვა. მე-5 ტურში „რაპიდმა" სძლია „ზანქტ-პოლტენს" 4:2. „რაპიდს" ერთი ქულით ჩამორჩება ზალცბურგის „აუსტრია", ორით — ვენის „აუსტრია".

იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ მეორე ლიგის გუნდებით შეავსო ხუთი ადგილი, რომელიც ვაკანტური დარჩა ხორვატიის გუნდების მიერ ჩემპიონატისთვის ბოიკოტის გამოცხადების შემდეგ. კვირას ჩატარდა იუგოსლავიის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ახალი თავსატეხი გაუჩინა სლოვენიის გუნდმა „ოლიმპიამ", რომელმაც ბოლო მომენტში თქვა უარი ჩემპიონატში თამაშზე.

შვეიცარიის ჩემპიონატში ორი გუნდი ლიდერობს — „ლოზანა" და „სიონი". მათ 5 ტურის შემდეგ 9-9 ქულა მოაგროვეს. მესამე ადგილზე „გრასჰოპერსი" — 7 ქულა.

ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში მიმდინარე ტურნირზე სენსაციური დამარცხება განიცადა მასპინძელთა გუნდმა — „ფეიენოორდმა", რომელმაც წააგო სტამბოლის „გალათასარაისთან" 1:2. მეორე [illegible] ბელგიის „მეხელენმა" მოუგო [illegible] „დინამოს" 3:2.

ამსტერდამის ტურნირში იტალიის ჩემპიონი „სამპდორია" დამარცხდა ჰოლანდიის ჩემპიონ „ეინდჰოვენთან" 1:2.

ინგლისმა, რომელიც 1988 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე აცხადებდა პრეტენზიას, გადაწყვიტა მოხსნას თავისი კანდიდატურა. ეს გადაწყვეტილება ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციისა და უეფა-ს ხელმძღვანელობასთან კონსულტაციის შემდეგ მიიღო. 1988 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გამართვა საფრანგეთსაც ჰქონდა განზრახული და უეფა-ს აზრით, ორი კანდიდატურა ევროპიდან ერთმანეთს მხოლოდ ხელს შეუშლიდა. სამაგიეროდ, უეფა-ს პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი დაპირდა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელებს, რომ 1996 წლის ევროპის ჩემპიონატი ამ ქვეყანაში გაიმართება.

ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ალან ბოლი მესამე ლიგის „ექსიტერ სიტის" მწვრთნელად დაინიშნა.

„კოვენტრი სიტის" ხელმძღვანელობამ დააჯარიმა და ტრანსფერლისტში (გასაყიდი ფეხბურთელების სია) შეიყვანა გუნდის სამი ფეხბურთელი, რომლებიც დათვრნენ გლაზგოს „რეინჯერსთან" ამხანაგური მატჩის წინ. „კოვენტრიმ" ორი კვირის ხელფასი გამოუქვითა გუნდის კაპიტანს პიკს, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს სენსომს და მაკგრათს.

ფრედ (0:0) დამთავრდა ინგლისის სუპერთასის მატჩი, რომელშიც ერთმანეთს ლონდონის გუნდები „არსენალი" და „ტოტენჰემ ჰოთსპური" შეხვდნენ. მეტოქეებმა თასი „გაიყვეს": საპატიო პრიზი „არსენალის" რეზიდენციაში იქნება, ხოლო მეორე 6 თვის განმავლობაში „ტოტენჰემის" შტაბბინაში.

ქვეყნის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები ხვალ გაიმართება. დაგეგმილი თერთმეტი შეხვედრის ნაცვლად მხოლოდ ათი შედგება: გადაიდო ლონდონის „კრისტალ პალასისა" და „ლიდს იუნაიტედის" მატჩი. „კრისტალმა" ვერ მოასწრო ახალი სეზონისთვის სტადიონის რეკონსტრუქციის დამთავრება. შესაძლოა, გადაიდოს მეორე ტურის მატჩი ლონდონის კიდევ ერთი გუნდის „უიმბლდონის" მონაწილეობით. „უიმბლდონი" და „კრისტალი" მატჩებს ერთსა და იმავე მოედანზე ადარებენ.

კოლუმბიის ნაკრების მეკარე რენე იგიტა მედელინის „ნასიონალიდან" ესპანეთის „ვალიადოლიდში" გადავიდნენ. იგიტამ ესპანეთის გუნდთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „ვალიადოლიდში" იგიტასთან ერთად კიდევ ერთი კოლუმბიელი — კარლოს ვალდერამა ითამაშებს.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ორმა საფეხბურთო ფედერაციამ — თეთრკანიანების და შავკანიანების ფედერაციებმა გადაწყვიტეს ერთ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ. ახალი ფედერაციის პრეზიდენტმა მორევამ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში შეეცდება გახდეს აფრიკის საფეხბურთო კონფედერაციის წევრი.

რუმინელი ფეხბურთელი მარიუს ლეკატუში იტალიის „ფიორენტინიდან" ესპანეთის „ოვიედოში" გადავიდა. ლეკატუშმა თავისი ახალი გუნდის შემადგენლობაში პირველი მატჩი სპლიტის „ჰაიდუკის" წინააღმდეგ ჩაატარა და გოლიც გაიტანა. „ოვიედომ" მოუგო „ჰაიდუკს" 2:0.

გერმანიის ჩემპიონატის მეორე ტური: „ბაიერნი" — „ჰანზა" 1:2, „ნიურნბერგი" — „ფორტუნა" 3:1, „აინტრახტი" — „შალკე" 5:0, „კაიზერსლაუტერნი" — „ბოხუმი" 1:1, „კიოლნი" — „კიკერსი" 0:0, „შტუტგარტი" — „კარლსრუე" 1:0, „ვატენშაიდი" — „ბაიერი" 3:0, „ჰამბურგი" — „დინამო" 2:0, „ბორუსია" (მიონხენგლადბახი) — „დუისბურგი" 0:0, „ბორუსია" (დორტმუნდი) — „ვერდერი" 2:1. მესამე ტური: „დინამო" — „აინტრახტი" 2:1, „ბოხუმი" — „ჰამბურგი" 2:3, „კარლსრუე" — „ბორუსია" (მიონხენგლადბახი) 2:0, „დუისბურგი" — „ვატენშაიდი" 0:0, „შალკე" — „ნიურნბერგი" 1:0, „ფორტუნა" — „ბაიერნი" 0:1, „ჰანზა" — „ბორუსია" (დორტმუნდი) 5:1, „ვერდერი" — „შტუტგარტი" 1:1, „კიოლნი" — „კაიზერსლაუტერნი" 1:1, „კიკერსი" — „ბაიერი" 0:1. 6 ქულით ლიდერობს „ჰანზა".




## თუ კაცი მოინდომებს მიუწვდომელი არაფერია!

ჩვენი ინდექსია 66441

1 თვე 1 მან. 73 კაპ. 3 თვე 5 მან. 19 კაპ.
6 თვე 10 მან. 32 კაპ. 12 თვე 20 მან. 76 კაპ.

## გამოიწერეთ!

# ნოკაუტი, რომელიც არავის უნახავს

მაიამი-ბიჩში მას ბევრი სახითაც ცნობს. ადგილობრივ სპორტის მოყვარულებში იგი დიდად პატივცემული კაცია, ქალაქის საუკეთესო ოტელის სტუმრებისთვის კი ეს მაღალი, ჩასხმული, ჭაღარაშერეული მამაკაცი უბრალო პორტიეა, რომელიც მოსულს მხოლოდ კარებში ხვდება, ჩემოდნებს ჩამოართმევს და ნომერში მიაქვს.

არა, თავისი სხვა კოლეგებისგან იგი მაინც გამოირჩევა: თუნდაც იმით, რომ პიჯაკის ლაცკანს უმშვენებს სამკერდე ნიშანი წარწერით: „წლის საუკეთესო პორტიე". ასეთი პატივი პირველი არ არის 51 წლის ლევი ფორტესთვის. ამგვარ ჯილდოებს იგი ადრეც იღებდა, როცა ახალგაზრდა და ჯანმაგარი ჭაბუკი სხვა საქმესაც ერთგულად ემსახურებოდა — პროფესიონალი მოკრივე გახლდათ.

რინგი ფორტემ ამ თორმეტი წლის წინათ დატოვა, თუმცა მისი ბრძოლები ცოტა ვინმეს თუ უნახავს, ალბათ მხოლოდ მენეჯერებს, მწვრთნელებსა და მეტოქეებს. მისი ხვედრი ჩილურჯებული თვალები და მცირეოდენი ჰონორარი იყო, მაშინ, როცა სხვები დაფნის გვირგვინებით ამაყობდნენ და ფულიც ჩეჩქივით ჰქონდათ. მიუხედავად ამისა ამერიკის პროფესიული კრივის სამყაროში დიდი პატივისცემით და მოწიწებით ეპყრობიან „წარჩინებულ პორტიეს". ლევი ფორტე ხომ ის კაცია, ვინც თითქმის თხუთმეტი წლის მანძილზე „საუკეთესო სპარინგ-პარტნიორის" ტიტულს ატარებდა. სწორედ ამ კაცზე „ხვეწდნენ და ამუშავებდნენ" თავიანთ მრისხანე დარტყმებს სონი ლისტონი, მუჰამედ ალი, ჯორჯ ფორმენი...

— მე მომწონდა ეს სამუშაო. ბევრ სახელგანთქმულ მოკრივეს შევხვედრივარ, ახლოს ვიცნობდი მათ, მთელი მსოფლიო მოვიარე მათთან ერთად, — ამბობს ფორტე.

**— მაგრამ ალბათ „მუდმივი სამიზნის" როლი მაინდამაინც სასიამოვნო არ უნდა იყოს.**

— რას ამბობთ! მე უწყინარი კრავი არასოდეს ვყოფილვარ. ზოგიერთზე ნაკლები არც ძალა მომდევდა და არც დარტყმა ვიცოდი. ბევრჯერ შავ დღეშიც ჩამიგდია მეტოქე.

**— ჩემპიონის დაფნის გვირგვინებს ხომ მაინც სხვები ინაწილებდნენ...**

— ჰო, მაგრამ მეც ხომ მიხდიდნენ ჩემი შრომისათვის. ერთ საწვრთნელ ბრძოლაში ორი ათასამდე დოლარი მეძლეოდა. გარდა ამისა, ნაკლებ პრესტიჟულ შეჯიბრებებშიც გამოვდიოდი. ერთი სიტყვით, ჩემპიონებზე ნაკლებს ვიღებდი, მაგრამ ჩემს საქმეს პატიოსნად ვაკეთებდი.

**— მეტოქეებიდან ყველაზე მეტად ვინ დაგამახსოვრდათ?**

— სონიმ მძლავრი დარტყმა იცოდა, მაგრამ მე მოძრაობით ვჯობდი. გაცოფდებოდა ხოლმე, როცა მის დარტყმებს ვიცილებდი. მუჰამედ ალი კრივის კლასიკური სტილის ნამდვილი განსახიერებაა. რინგზე ძალიან ელეგანტური ჩანდა. ძლიერად ურტყამდა, მაგრამ ამ მხრივ ჯორჯს მაინც ჩამოუვარდებოდა. ჯორჯის დარტყმა მართლაც გამანადგურებელი იყო.

**— ნუთუ არასოდეს გიფიქრიათ, რომ თქვენც შეგეძლოთ ჩემპიონი გამხდარიყავით?**

— არა, ჩემპიონობაზე არასოდეს მიოცნებია. კრივი სიამოვნებას მანიჭებდა, საწვრთნელ დარბაზში შესვლა მიხაროდა. თუმცა, ერთ შემთხვევას დღესაც სინანულით ვიხსენებ: იმ დღეს ცარიელ დარბაზში ვიბრძოდით და სწორედ მაშინ ჩავაგდე ნოკაუტში თვით მუჰამედ ალი! არადა გვერდით კაციშვილი არ იყო — არც რეპორტიორი, არც ფოტოგრაფი, არც მაყურებელი...

მოამზადა
შალვა შალოლაშვილმა.



„სტადიონი"

ძმები შტიასნები (მარცხნიდან: მარიანი, პეტერი, ანტონი) ჩეხოსლოვაკეთის ნაკრებში თამაშის დროს.

# საჩოგბურთო ბუმი იაპონიაში

„ამომავალი მზის" ქვეყანა საჩოგბურთო ციებ-ცხელებამ შეიპყრო. ამის დასტურია ის, რომ ათასობით ბავშვი ჩაება სპორტის ამ სახეობაში, შენდება უამრავი შესანიშნავი კორტი, მასობრივად მზადდება მაღალხარისხოვანი ინვენტარი, საგრძნობლად ამაღლდა ჩოგბურთელთა ოსტატობის დონე. ყოველივე ამან იაპონიის სპორტის მოყვარულებს ჩაუსახა იმედი, რომ სულ მალე იაპონურ ფოტოაპარატებთან და კინოკამერებთან, დისფლეებთან და კომპიუტერებთან, რობოტებთან და ავტომობილებთან ერთად, მსოფლიო არენაზე თავს ისახელებენ ამ ქვეყნის ჩოგბურთელები.

საყურადღებოა, რომ წელს უიმბლდონის ტურნირების ისტორიაში პირველად მონაწილეობდა ექვსი ჩოგბურთელი ქალი იაპონიიდან. მათ შორის ყველაზე პერსპექტიულად ითვლება ნაოკო საკამაცუ, რომელსაც მსოფლიო რეიტინგში 29-ე ადგილი უკავია. ეს გოგონა საჩოგბურთო დინასტიის წარმომადგენელია. ჩოგბურთს თამაშობდნენ მისი დედა — იუნკო და დეიდა კაზუკო, რომლებიც თავის დროზე გახდნენ პირველი პროფესიონალი ჩოგბურთელები აზიის კონტინენტზე. 1970 წელს დებმა მიაღწიეს უიმბლდონის ტურნირის მეოთხედფინალს, ხუთი წლის შემდეგ კი კაზუკო იაპონური წარმოშობის ამერიკელ ეკი კიომურასთან ერთად გახდა ამ შეჯიბრების გამარჯვებული ქალთა წყვილებში. სპეციალისტების აზრით, ნაოკო საკამაცუმ გაუსწრო დედას და დეიდას ოსტატობაში. დიდ იმედებს იძლევიან აგრეთვე მისი თანაგუნდელები კიმინო დოტე, რიკა ხირაკი, მაია კიდოვაკი და სხვები.

ამავე დროს, იაპონიის ვაჟთა ჩოგბურთში სიტუაცია არასახარბიელოა. ეს იმიტომ, რომ მოზარდებს აქვთ დიდი არჩევანი სპორტში. მაგრამ იაპონიაში სჯერათ, რომ ის დროც დადგება, როცა მამაკაცებიც მიაღწევენ პროგრესს ჩოგბურთში.

# ათი წლის შემდეგ

მარიან შტიასნის ამასწინანდელმა სტუმრობამ ბრატისლაველ ჰოკეის მოყვარულებს გაუღვიძა მოგონებები და გარდასულ დღეთა ბატალიები გაახსენა. 70-იანი წლების დამლევს კლუბ „სლოვანისა" და ჩეხოსლოვაკიის ნაკრების თავდამსხმელთა — შტიასნების სამეული მთელ ჰოკეის სამყაროში ქუხდა. 80-იანი წლების დამდეგს სამივე ძმა ემიგრაციაში წავიდა და მთელი ათი წელი სამშობლოში მათს შესახებ არაფერი ისმოდა.

და აი, ახლა უფროსი ძმა — მარიანი — სამშობლოში ჩავიდა, როგორც სლოვაკთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი. მანამდე იგი ხუთი სეზონის განმავლობაში კანადა-ამერიკის ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბებში თამაშობდა, 322 მატჩში ითამაშა და 121 შაიბა გაიტანა. ამასთან, მონაწილეობა მიიღო სტენლის თასის გათამაშების 32 მატჩში, სადაც მის ანგარიშზე 5 შაიბა მოდის. ახლა 38 წლის მარიან შტიასნი პოლიტიკური მოღვაწეა. იგი სათავეში უდგას ემიგრანტთა ორგანიზაციას, რომლის ცენტრიც კანადის ქალაქ კვებეკშია. მამის კვალს გაჰყვა მისი ვაჟიც — რომი. იგი ადგილობრივი კოლეჯის გუნდში თამაშობს, ქალიშვილი, იანკა, ჩოგბურთელია.

სამაგიეროდ სპორტულ კარიერას დღემდე აგრძელებს მარიანის ორი ძმა. 34 წლის პეტერი წარმატებით იცავს კლუბ „ნიუ-ჯერსის" ღირსებას და ნჰლ-ის კლუბებში თავისი მეათე სეზონისათვის ემზადება. ასევე ცხრა სეზონი ითამაშა ოკეანის გაღმა 31 წლის ანტონმა. მან ნჰლ-ის ჩემპიონატში ძმებზე მეტი — 650 მატჩი ჩაატარა და 252 შაიბა გაიტანა. შარშან ანტონი ევროპაში გადავიდა და შვეიცარიის კლუბ „ოლტენში" დაიწყო თამაში. როგორც ჩანს, ეს სეზონი მისთვის უკანასკნელი იქნება სპორტში. ანტონმა ეკონომისტის დიპლომი მიიღო და აპირებს ბიზნესს მოჰკიდოს ხელი.

## აქეთური, იქითური...

ცურვაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა და ოლიმპიადა-88-ის გამარჯვებულმა, გერმანელმა იორგ ჰოფმანმა განაცხადა, რომ იგი სპორტს ეთხოვება. როგორც ცნობილმა სპორტსმენმა თქვა, წლების განმავლობაში დიდმა ფიზიკურმა დატვირთვამ მას ჯანმრთელობა გაუუარესა, რაც ზურგის გამუდმებულ ტკივილში გამოიხატება. ახლა ჰოფმანი მუშაობას იწყებს კონცერნ „მარსის" სავაჭრო რეკლამის განყოფილებაში.

■ ■ ■

ბადმინტონის საერთაშორისო ფედერაცია თავის ყოველთვიურ ბიულეტენში იუწყება, რომ სადღეისოდ იგი აერთიანებს 97 ქვეყანას. ბადმინტონი განსაკუთრებით პოპულარულია აზიაში, სადაც ამ სპორტის უძლიერესი წარმომადგენლები ცხოვრობენ. ბარსელონის ოლიმპიადაზე ბადმინტონი პირველად შევა ოლიმპიადის პროგრამაში. გათამაშდება მედლების ოთხი კომპლექტი — ვაჟთა და ქალთა ერთეულებში და წყვილებში.

■ ■ ■

როგორც ცნობილია, შვედმა ჩოგბურთელმა მატს ვილანდერმა მონაწილეობა არ მიიღო უიმბლდონის ტურნირზე. ახლა მან განაცხადა, რომ არც ამერიკის ღია ჩემპიონატზე გამოვა (ჩემპიონატი 26 აგვისტოს იწყება). 27 წლის სპორტსმენმა თქვა, რომ მას ბოლო დროს მუხლის ტკივილი აწუხებს. ვილანდერმა რამდენიმე ოპერაციის შემდეგ ვარჯიში შეწყვიტა, თუმცა ახლა მისი საქმე უკეთ არის და შემოდგომაზე ალბათ ტურნირებშიც ჩაებმება.

■ ■ ■

გერმანიის სამგზის ჩემპიონი ჰოკეიში, კლუბი „როზენჰაიმი" დაშლის პირას არის. როგორც ჩანს მორიგი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ბუნდესლიგის ეს გუნდი აღარ იარსებებს. მძიმე ფინანსური მდგომარეობა გამოიწვია იმან, რომ მეწარმეთა ერთი ჯგუფი, რომლებიც კლუბის სპონსორები არიან, ველარ იღებენ მისი არსებობისათვის აუცილებელ ხარჯებს.

■ ■ ■

ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს გრემ რობერთსს სამუდამო დისკვალიფიკაცია ემუქრება. 31 წლის სპორტსმენი, რომელიც ადრე „საუთჰემპტონში", „ტოტენჰემ ჰოთსპურში" და „გლაზგო რეინჯერსში" თამაშობდა, დღეს კი „ვესტ ბრომივიჩ ალბიონში" გამოდის, შემჩნეულია დოპინგის გამოყენებაში.

■ ■ ■

კვლავ გრძელდება ნიჭიერ ჰოკეისტთა გადაბირება ოკეანის გაღმა კლუბებში. ამ დღეებში კიდევ ერთმა შვედმა სპორტსმენმა მოაწერა ხელი კონტრაქტს ნჰლ-ს კლუბთან. 18 წლის ერიკ ლინდროსს (სიმაღლე 191 სმ), „ვანკუვერ კანუკზის" ხელმძღვანელობამ სამწლიან კონტრაქტში სამი მილიონი ინგლისური გირვანქა სტერლინგი შესთავაზა.

■ ■ ■

ჩრდილო ამერიკის კალათბურთის წამყვანი კლუბები, სიამოვნებით იყენებენ ყოფილ მოთამაშეთა გამოცდილებას. სადღეისოდ უმაღლესი ლიგის 26 გუნდიდან 19-ს წარსულში ყოფილი კალათბურთელები წვრთნიან. რაც 73 პროცენტს შეადგენს. ნფა-ს საკალათბურთო კლუბებში იგივე მაჩვენებელი ასეთია 27-დან 18 (67 პროცენტი), ამერიკულ ფეხბურთში კი 28-დან მხოლოდ 11 (39 პროცენტი).

## აქეთური, იქითური...

PALAVANI • ПАЛАВАНИ
ფალავანი

## „სარბიელის" სპონსორია ასოციაცია „ფალავანი"


გამოდის პარასკეობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.30.
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.
ტელეფონი: 38-39-93.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჯულუხაძე.